

იზანი +



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოველთვიური საგანმანათლებლო-საინფორმაციო ჟურნალი შეზღუდული
შესაძლებლობების მქონე პირებისათვის

1713
2010

№ 1 (11), იანვარი 2010



გინდოთ საუბო 2010 წელს

UDC(uak) 050-056.
26+369.25+368. 945-ი -474

სარქვასტო საბჭო

თეიმურაზ მიქიაშვილი
კარლო მუშკუდიანი

მთავარი რედაქტორი

თეიმურაზ მიქიაშვილი
ტელ 893335887

**გამომცემელი
რედაქტორი:**

კარლო მუშკუდიანი
ტელ.: 897203960

დოზაინერი

გიორგი ჯვარშიშვილი

გამომცემელი:

კავშირი „იმედი+“

**საკონტაქტო
ინფორმაცია**

ჟურნალი „იმედი+“
ს.ჩიქოვანის ქ.14
ტელ.: + 995(32) 365627
ელ ფოსტა:
pr_imediplus@yahoo.com

ჟურნალი რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
რეგისტრაციის ნომერი:
01343/12/0726

3 დეკემბერი საქართველოში2

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა
საერთაშორისო დღე სასტუმრო რედისონში აღინიშნა4

როგორ ინგრევა კედელი.....7

მეგობრობამ ასე იცის8

მე ანია 11

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა
მდგომარეობა საქართველოში 12

ვატიკანი მხარს არ უჭერს..... 13

ჩვენ ერთნი ვართ, ჩვენ ერთად ვართ..... 14

კალენდარი 2010..... 16

ფინჯან ყავაზე 19

შესაძლებლობა და არა უძღურება22

უნდა ირწმუნო, რომ გაირმარჯვო, ანუ
60 ვარჯიში სიცოცხლისთვის.....24

ინვალიდობა, ლიბერალური ღირებულებანი და
XXI საუკუნის გამონევეები25

ადაპტური ფიზიკური აღზრდა ოჯახის პირობებში27

ჩვენი იუბილარი30

ზეიმი ლაგოდეხში30

სიახლე პარაოლიმპიურ პროგრამაში.....31

საქართველოს პირველობა ნოლქიმში31

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მხარდაჭერა32

ჟურნალი ვრცელდება უფასოდ

გარეკანის პირველ გვერდზე: საახალწლო თბილისი
გარეკანის ბოლო გვერდზე: „მის საქართველო“ ნინო კახიძე

ფოტო მიხეილ მიქიაშვილის



იბეჭდება ფონდი ღია საზოგადოება-
საქართველოს მხარდაჭერით

ჟურნალი გამოდის 2009 წლის იანვრიდან

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის მოსაზრება შეიძლება არ ემთხვეოდეს სტატიის ავტორის მოსაზრებებს. ჟურნალში გამოქვეყნებული ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს სტატიის ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩანერილი აუდიო მასალა ინახება ერთი თვის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიებისა და ფოტოსურათების გადაბეჭვდა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე აკრძალულია. სარეკლამო მასალების შინაარსსა და სტილზე პასუხისმგებელია შემკვეთი.

3 დეკემბერი საქართველოში

თეიმურაზ მიქიაშვილი

3 დეკემბერს მსოფლიოში აღინიშნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღე. ეს თარიღი ჩვენს ქვეყანაშიც აღინიშნა და მიეძღვნა მრავალი ღონისძიება, რომელიც წარმოადგენდა მთელი წლის მანძილზე ჩატარებული მუშაობის ერთგვარ ანგარიშს.

**შერატონ მეტეჩი პალასი —
3 დეკემბერი 11 საათი.**

ინკლუზიური განათლების პერსპექტივა

3 დეკემბერს, სასტუმრო შერატონ მეტეჩი პალასში ჩატარდა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის "ინკლუზიური განათლების განვითარებას საქართველოს 10 რეგიონის საჯარო სკოლებში".

კონფერენციაზე სპეციალიზირებული პროფილის და საჯარო სკოლებს, სადაც ინკლუზიური განათლებაა დანერგილი, პირველად მიეცათ საშუალება გაეზიარებინათ თავიანთი გამოცდილება და დაესახათ ერთობლივი ხედვა თუ როგორ მოარგონ ბავშვის ინტერესებს სასწავლო პროცესი.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ: განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, ქალბატონი ირინე ქურდაძე, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს წარმომადგენელი, ბატონი ეინარ კრისტიანსონი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ქალბატონი მარია ზაქარეიშვილი, პროექტის "ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს 9 რეგიონის საჯარო სკოლებში"-ხელმძღვანელი, ქალბატონი მაია ბაგრატიონი, ასევე, საჯარო სკოლებისა და სპეციალიზებული პროფილის სკოლების დირექტორები და პედაგოგები.

თავის მისასალმებელსიტყვაში ქალბატონმა ირინე ქურდაძემ მადლობა გადაუხადა ინკლუზიურ განათლების დანერგვის პროცესში ჩართულ ყველა მხარეს, მათ შორის ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროსა და დონორ ორგანიზაციებს. — "სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია, შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ცდილობს სახელმწიფო პროგრამებით მხარი დაუჭიროს ინკლუზიური განათლების დანერგვას და განვითარებას საქართველოში"- აღნიშნა ქალბატონმა ირინემ.

კონფერენციის მონაწილეებმა იმსჯელეს ინკლუზიური განათლების

პროცესში საჯარო და სპეციალიზებულ სკოლების როლზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებულ სირთულეებზე, ასევე ამ მიმართულებით მიღწეულ წარმატებებზე.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ქალბატონმა მარია ზაქარეიშვილმა ინკლუზიური განათლების სახელმწიფო სტრატეგიასა და ხედვაზე ისაუბრა.

კონფერენციაზე ასევე გაიმართა პროექტის პრეზენტაცია. "ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს 10 რეგიონის საჯარო სკოლებში" პროექტი, რომელიც ხორციელდება ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის და ორგანიზაციის "გადავარჩინოთ ბავშვები" მხარდაჭერით.

კონფერენციაზე ასევე წარმოდგენილი იყო საჯარო სკოლებისა და სპეციალიზირებული სკოლების პრეზენტაციები სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვაზე:

• „თბილისის № 200 საჯარო სკოლის გამოცდილება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განათლების სფეროში“- მარინე უჯმაჯურიძე, დირექტორი

• პირველი ნაბიჯები ინკლუზიურ განათლებაში“- ქუთაისის ავთანდილ დეკანოიძის სახელობის № 32 საჯარო სკოლა - თამარ გურაბანიძე, პედაგოგი.

• „სწრაფვა ინკლუზიური განათლებისაკენ“- №198 საჯარო სკოლა, თეონა ყაჭეიშვილი დირექტორი

• "სკოლის როლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა განათლების პროცესში - თბილისის 10 საჯარო სკოლა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის ზოგადსაგანმანათლებლო კლასში ჩართვის კონკრეტული ისტორია, ქალბატონი ნინო ახალკაცი, პედაგოგი

• „ინკლუზიური განათლების ისტორია თბილისის 180 საჯარო სკოლაში-ქალბატონი ნინო ქუმასიაშვილი, პედაგოგი

• "ქუთაისის ყრუ ბავშვთა



სკოლა (პანსიონური მომსახურებით) ისტორია და სამომავლო პერსპექტივები"- ქალბატონი ირინე აბდალაძე

ინკლუზიური განათლების დანერგვა თბილისის შემდეგ, მიმდინარეობს საქართველოს ათი რეგიონის საჯარო სკოლებში. ეს რაიონებია: მცხეთა, თელავი, ზესტაფონი, ხაშური, ონი, რუსთავი, ჩოხატაური, ზუგდიდი, ახალციხე, ქობულეთი. ამ რაიონების საპილოტე სკოლებში დღეისათვის 150 სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე სწავლობს.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, ქალბატონი ირინე ქურდაძე — დღეს 3 დეკემბერია, ინვალიდთა საერთაშორისო დღე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გარკვეული სამუშაო ჩაატარა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების შესახებ. ქვეყნის საჯარო სკოლებში ინერგება ინკლუზიური განათლება. რა სამომავლო გეგმები გააჩნია თქვენს უწყებას ამ მიმართულებით?

— სრულიად გეთანხმებით. 3 დეკემბერი საზეიმო ღონისძიებებით კი არ უნდა აღვნიშნოთ, არამედ ანალიზი გავუკეთოთ ჩატარებულ მუშაობას და დავსახოთ სამომავლო გეგმები. უნდა გავიაზროთ, რომ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. საზოგადოებას კიდევ ერთხელ უნდა შევასხენოთ, რომ ამ ადამიანებს მეტი ყურადღება სჭირდებათ. ფართო საზოგადოებამ კარგად იცის, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დასახულ გეგმებს შორის ერთ-ერთ პრიორიტეტულს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა განათლებით უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, არა მარტო სპეციალიზებულ სკოლებს უნდა შეექმნათ ყოველგვარი პირობები მათი აღზრდა-განათლებისათვის, არამედ დავნერგოთ ინკლუზიური სწავლება ქვეყნის განათლების სისტემაში და ამით ხელი შევუწყოთ საზოგადოებაში მათ ყოველმხრივ ინტეგრაციას. მე ვფიქრობ, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, ვინაიდან, ამ მეთოდით შესაძლებელი იქნება ყველა ასაკისა და ნობოლოგიის მქონე მოსწავლე უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამისი განათლებით.

ის, რაც გაკეთდა, ნამდვილად მნიშვნელოვანია. ვეცადეთ ჩამოგვეყალიბებინა საქართველოში ინკლუზიური განათლების საერთო მოდელი,



ამ საქმის განხორციელების საერთო ხედვა. სამინისტროს შემუშავებული აქვს სტრატეგია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლების შესახებ. გვაქვს სამოქმედო გეგმა, რომელსაც აუცილებლად ვანვახორციელებთ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ქალბატონმა მარიკა ზაქარეიშვილი

როგორც მოგეხსენებათ, 2005 წელს საქართველოში შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა, რის საფუძველზეც სამინისტრომ დაიწყო ფიქრი, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო საქართველოში ინკლუზიური განათლება. ამის განხორციელებაში მხარში ამოგვიდგა ნორვეგიის განათლების და კვლევის სამინისტრო და 2005წ. გავაკეთეთ პირველი სახელმწიფო პროექტი თბილისის 10 საჯარო სკოლაში. რა თქმა უნდა, ამისათვის ჩატარდა გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოები. შეირჩა სკოლები, სადაც გათვალისწინებული იქნა მათი ადგილმდებარეობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სპეციალური კურსით მომზადდა და გადაამზადდა მასწავლებლები და ა.შ ვეცადეთ, რომ ეს პროცესი რაც შეიძლება უმტკივნეულოდ წარმართულიყო, თუმცა, ადგილი ჰქონდა გარკვეულ შეცდომებსაც, რომლებიც შემდგომში გავითვალისწინეთ. მაგრამ, რაც მთავარი პროცესი დაიწყო. თვალნათელია, რომ შედეგები არის, რასაც დღევანდელ კონფერენციაზე წარმოდგენილი ფაქტებიც მეტყველებენ.

დღევანდელ ღონისძიებაზე სპეციალიზებული პროფილის სკოლებმა და საინკლუზიო განათლების სკოლებმა ერთობლივად წარმოგვიდგინეს თავიანთი გამოცდილება თუ როგორ ახდენენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში. ამ პროცესში მთავარია გათვალისწინებული იყოს ბავშვის ინტერესები და მივანოდეთ მათ სერვისი. დღეს მათ წარმოადგინეს თავიანთი ნამუშევრები და ფართო საზოგადოებას გააცნეს თავიანთ სკოლებში დანერგილი მეთოდები და მიღწეული შედეგები.

პროექტის — “ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს 9 რეგიონის საჯარო სკოლებში”- ხელმძღვანელი მაია ბაგრატიონი

რაც შეეხება პროექტის ამოცანებს, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პროექტის მუშაობის განმავლობაში უზრუნველყოფთ 100-150 სპეციალური განათლების საჭიროების მქონე



მოსწავლის ჩართვას 10 სამიზნე საჯარო სკოლაში. ამისათვის ვგეგმავთ საქართველოს მასშტაბით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეთა იდენტიფიკაციას. ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი აქტივობა, რამდენადაც ჩვენ ვალდებულნი ვართ ვიცოდეთ, თუ რამდენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი არსებობს ქვეყანაში, როგორია მათი საგანმანათლებლო ისტორია, რა ბარიერებს აწყდებიან ისინი განათლების მიღების პრიცესში და ა.შ. ჩვენი შემდეგი მიზანია ამ მოსწავლეთა საჭიროებების შეფასება კვალიფიციური გუნდის მიერ და ამისათვის ჩვენ გვყავს შესაბამისი მულტიდისციპლინური გუნდი, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში და ამ პასუხისმგებლობას და ვალდებულებებს ისინი თავის თავზე იღებენ. სამიზნე სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეთა ჩარიცხვას ვგეგმავთ 2010-2011 წლიდან და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა განათლება განხორციელდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მიხედვით. პროექტის ეფექტურობის მაჩვენებლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იქნება, თუ რამდენი სპეციალური განათლების საჭიროების მოსწავლისათვის შევქმენით ადეკვატური და

წარმატებული გეგმა, რომელიც ზუსტად ასახავს მათ საჭიროებებს და ზუსტად არის მორგებული მათ შესაძლებლობებზე. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა პედაგოგების მომზადება ინკლუზიური განათლების საკითხებში, რომელსაც განახორციელებს ამისათვის სპეციალურად მომზადებული ტრენერთა გუნდი. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება 10 სამიზნე სკოლაში ფიზიკური გარემოს უზრუნველყოფას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. ჩავატარებთ პირველი სართულის რეკონსტრუქციას საინვალიდო ეტლით მოსარგებლე მოსწავლეთათვის და ა.შ. რომ დაინერგოს და განვითარდეს ინკლუზიური განათლება, ძალიან მნიშვნელოვანია ინკლუზიური სწავლების გაუმჯობესება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, სასწავლო მოდელის შემუშავება მომავალი პედაგოგებისათვის, რაზედაც ჩვენ განსაკუთრებულ აქცენტს გავაკეთებთ. აგრეთვე ჩვენ გვსურს საფუძველი ჩაუყაროთ ინკლუზიური განათლებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებას, რომელიც დაგეგმილია 2011 წელს. ვფიქრობთ, ამ დროისათვის გვექნება საკმარისი შედეგები და საკმარისი გამოცდილება, რომ გაუზიაროთ არა მარტო ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, არამედ გავიტანოთ საერთაშორისო მასშტაბითაც.

ფიგურული ფესაძლებლობების მქონე პირთა სტატუსის დღე სასტუმრო რედისონში აღინიშნა

მარიკა აფციაური

3 დეკემბერს, სასტუმრო რედისონში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გაიმართა კონფერენცია, რომელშიც არასამთავრობო ორგანიზაციები, საქართველოს მთავრობა და საერთაშორისო ორგანიზაციები ერთად იღებდნენ მონაწილეობას.

შეხვედრაზე საზოგადოების წინაშე სიტყვით საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერები რუსუდან კერვალიშვილი და გიგი წერეთელი, USAID-ის მისიის ხელმძღვანელი საქართველოში იოაკიმ პარკერი, ორგანიზაცია "გადავარჩინოთ ბავშვების" (Save the Children) საქართველოს ოფისის დირექტორი ვესლი ვილსონი, ინვალიდობის მსოფლიო ინსტიტუტის (WID) ხელმ-

ძღვანელი ბრუს კურტისი, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენელი საქართველოში როლანდ მონიში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების მეორე პირები - დავით ლომიძე და ირინა ქურდაძე, სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ქაცარავა.

კოალიციის დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის გამგეობის თავმჯდომარე გიორგი ძნელაძე და სხვა ოფიციალური პირები წარსდგნენ.

მომხსენებლები მიესალმნენ საზოგადოებას და ისაუბრეს იმ პრობლემებზე, მიღწევებზე, სამომავლო გეგმებსა თუ პროგრამებზე, რომელიც მათ ორგანიზაციებსა, თუ უწყებებს



აქვთ ინვალიდობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის, თანაბარი პირობებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით.

კონფერენციის მეორე ნაწილში გაიმართა დოკუმენტური ფილმის „როგორ ინგრევა კედელის“ პრემიერა, რომელიც პროექტის თანაბარი პირობების განვითარების ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის ფარგლებში იქნა გადაღებული და რომლის მიზანიც საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების რღვევა და ინვალიდობისა, თუ ინვალიდობის მქონე პირთა მიმართ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა.

აღნიშნული ღონისძიება იყო მნიშვნელოვანი იმით, რომ ინვალიდობის მქონე პირთა კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად არასამთავრობო ორგანიზაციები, ხელისუფლების წარმომადგენლები და საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციები დასხდნენერთად, თანამშრომლობის რეჟიმში, ისაუბრეს არამხოლოდ იმაზე, თუ რა ვითარებაა დღეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა უფლებათა დაცვისა, თუ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში ჩართულობის მხრივ, არამედ იყო წარმოდგენილი უახლოეს მომავალში განსახორციელებელი საქმიანობის ხედვა, რომელიც ასევე ერთმანეთთან, სამუშაო შეხვედრებისა, თუ სხვა ფორმის თანამშრომლობის დროს იქნა შეჯერებული..

მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომლობა ხელისუფლებასა და საერთაშორისო, თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის არ შემოიფარგლება მხოლოდ 3 დეკემბრით და ის დღესაც გრძელდება, რისი ნათელი მაგალითიც იქნება იმ სამწლიანი სამოქმედო გეგმის მიღება, რომელიც უკვე დაწერილია და უახლოეს მომავალში გადაეგზავნება საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

ოთარ თოიძე – საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა



კომიტეტის თავმჯდომარე

- თვალნათელია, რომ ქვეყანაში გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების კეთილდღეობისათვის, თუმცა ჩვენი შესაძლებლობები გარკვეულად შეზღუდულია. საზოგადოება ხედავს, რომ პოლიტიკის დონეზე პრაქტიკულად ყველაფერი კეთდება ამ მიმართულებით.

ვცდილობთ, რომ არ გვექონდეს საკანონმდებლო ხარვეზი იმ პერიოდისათვის, როდესაც ქვეყანა შესძლებს სრულყოფილად შექმნას ღირსეული ცხოვრების პირობები. კერძოდ, შეიქმნას დასაქმების, სწავლა-განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული მონაწილეობის შესაბამისი პირობები. ამის განსახორციელებლად მიღებული იქნა დოკუმენტი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის შესახებ, რომელსაც ერთი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი. ახლა კი მუშაობა მიდის გაეროს მიერ მიღებული “შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის” მიერთებაზე.

ჩვენ არ ვჩქარობთ, ვინაიდან, გათვალისწინებული და შენონილი უნდა იქნეს ყველა ფაქტორი, რათა კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ არ აღმოვჩნდეთ ისეთ მდგომარეობაში, რომელიც ხელს შეუშლის ამ დოკუმენტის განხორციელებას. ამიტომ უახლეს 2,3 თვის განმავლობაში კონცეფცია კიდევ უფრო დაიხვეწება, უფრო სწორედ კონცეფცია მიესადაგება ქვეყანაში არსებულ რესურსებს და ამ კონცეფციაზე მსჯელობა დაიწყება უახლოეს მომავალში.

დღეისათვის, პარლამენტთან შეიქმნა სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭო, ეს გახლავთ გარკვეული უფლებების საბჭო, რომელსაც შეუძლია პოლიტიკის სახით დააყენოს საკითხები პარლამენტის დონეზე. ეს არ არის შეზღუდული და ჩაკეტილი ორგანიზაცია, მას გააჩნია თავისი გამოკვეთილი მიმართულებები და ვფიქრობთ მისი მუშაობა იქნება ნაყოფიერი და მომავალ წელს ამ დროს შევხვდებით უფრო მეტი მიღწევებით ვიდრე დღეს გვექონდა.

რუსუდან კერვალიშვილი - პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე

- ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია თანაბარი პირობების განვითარება სოციალურად შეზღუდული ადამიანებისთვის. რათა მათ მივცეთ შესაძლებლობა გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება, თავიანთი ცხოვრებისეული აქტიუობა და იყვნენ საზოგადოების თანაბარი წევრები, რადგან ისედაც შეზღუდულმა ფიზიკურმა შესაძლებლობებმა, კიდევ უფრო პრობლემური არ გახადოს მათ საზოგადოებაში



ჩართულობა. ჩემთვის ეს არის ყველაზე მთავარი.

შრომის, ჯანმრტელობის და სოციალური დაცვის მინისტრიეს პირველი მოადგილე დავით ლომიძე

- დღეს 3 დეკემბერია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღე და ტრადიციულად ამ დღეს საზოგადოებას ვაბარებთ ანგარიშს თუ რა გაკეთდა წლის მანძილზე, როგორც მთავრობის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. აღვნიშნოთ რა პრობლემები გაგვანია ამჟამად და რა უნდა გაკეთდეს შემდეგში.

ფაქტობრივად, წლებგანდელი წელი უნდა ჩაითვალოს ყინულის დაძვრის პერიოდად, ვინაიდან უფრო მეტი ყურადღება ექცევა როგორც ყოფიერების ამაღლებას, ასევე მათ პიროვნული რეალიზაციისათვის კლიმატის შექმნას. რაც მთავარია შეიქმნა პოლიტიკური დოკუმენტი, პარლამენტის დადგენილება, რომელიც მიიღო 2008წ. 2 დეკემბერს "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის შესახებ". ამ კონცეფციის საფუძველზე შეიქმნა ჯგუფი ჯანდაცვის მინისტროში, სადაც მინვეული იყო ყველა დინტერესებული მხარე, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტები და შემუშავებული იქნა 3 წლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც ასახვა ჰპოვა ყველა იმ პრობლემამ, დანყებული სტატუსის მინიჭებიდან დამთავრებული კულტურულ, საგანმანათლებლო და სპორტული-გამაჯანსაღებელი მუშაობის ჩათვლით. მათ შორის განხილული იყო შრომისა და დასაქმების პრობლემები, რაც ესოდენ აქტუალურია ჩვენი პირობებისათვის.

რუსეთ — საქართველოს ომის შემდეგ, იმის გათვალისწინებით, რომ იყო მსოფლიო-ეკონომიკური კრიზისი, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარი მილიარდით შემცირდა ქვეყანაში საგადასახადო შემოსავლები, მთავრობამ მაინც გამოძებნა რესურსები, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გაეზარდათ პენსიები. შესაძლებელია ეს ზღვაში წვეთია, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ კომპლექსურად უნდა მივუდგეთ ყველა საკითხს.

სახელმწიფო აგრეთვე გარკვეულ მუშაობას ატარებს მათ სარეაბილიტაციო დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის მიმართულებით. მათი საჭიროების შესაბამისად უზრუნველყოფს საინვალიდო ეტლებით, ყავარჯნებით და ა.შ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირველ რიგში შესწავლილი უნდა იქნეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებები და აქედან გამომდინარე სახელმწიფომ უნდა გააკეთოს მონახაზი და დაგეგმოს ის, ამ მიმართულებით ძალიან ბევრია



გასაკეთებელი სოციალური დახმარებების ხაზით, რომლებიც რეალურად ესაჭიროებათ მათ.

ვეცდებით, რომ ჩვენგან განუღული შრომის საფუძველზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა ინტეგრირებულად იგრძნონ თავი საზოგადოებაში.

სულ მალე პირველ პროდუქციას გამოუშვებს საწარმო, რომელიც დაამზადებს დამხმარე სარეაბილიტაციო-საყოფაცხოვრებო საშუალებებს, ეტლებს, ყავარჯნებს, ადაპტირებულ ავეჯს და ა.შ.

თქვენ როგორ ფიქრობთ და რა გეგმები გააჩნია თქვენს სამინისტროს ამ საწარმოს ნაყოფიერი მუშაობის ხელშეწყობისთვის?

ჩვენ ნებისმიერ ასეთ ნამოწყებას და ინიციატივას მივესალმებით და ბუნებრივია ამ პროექტსაც განვითარების და ჩამოყალიბების პროცესში გვერდში ვუდექით. ჩვენ გვინდა რომ ასეთი საწარმოები იყოს ბევრი და სხვადასხვა პროფილის. ნებისმიერი პროფილით დასაქმებას ჩვენ მივესალმებით და ხელს შევუწყობთ. დავებმარებით იქ, სადაც დასაქმებული იქნება და თავიანთ შესაძლებლობებს გამოავლენენ ინვალიდობის მქონე პირები. რაც შეეხება უშუალოდ იმ საწარმოს, ვფიქრობ, რომ მას სჭირდება როგორც ფინანსური, ისევე ზოგადად, ნებისმიერი მიმართულების მხარდაჭერა. წლის დასაწყისში მოხდება პროგრამის დამტკიცება და ჩვენ გვინდა ის წამახალისებელი ელემენტები ჩავდოთ ამ პროგრამაში.

მამუკა ქაცარავა - თბილისის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამსახურის უფროსი

- გულწრფელად მინდა ვუსურვო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა ადამიანს შინაგანი სიმტკიცე და საკუთარი თავის რწმენა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია მათი მომავალი ცხოვრებისათვის, რაც შეეხება მათ ყოფიერებას, ამ მიმართულებით ძალიან ბევრია გასაკეთებელი. დანყებული ფიზიკური გარემოს მოწყობით,




რომელიც ჯერ-ჯერობით დედაქალაქშიც კი არ არსებობს, გზებით, ტრანსპორტით და მცირედი დეტალით დამთავრებული. აგრეთვე მოსაგვარებელია ის საკითხები, რომლებიც მათ სულიერ მოთხოვნებებს დააკმაყოფილებს. ამავე დროს ვლადიმერის რა გასაკეთებელზე, ამის სარეალობაციოდ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის შესაბამისად ჩვენ დანერგული გვაქვს მუშაობა. რა თქმა უნდა ეს 1-2 წლიანი სამოქმედო გეგმა არ არის. ამ საქმის ფეხზე დაყენებას დიდი პერიოდი დასჭირდება. დასჭირდება დიდი, როგორც ფინანსური, ასევე მატერიალური რესურსები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მიზანსწრაფული სვლით ჩვენ აუცილებლად შევასრულებთ ჩვენს წინაშე დასახულ მიზნებს. მივალწევთ იმას, რომ საქართველოში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ყველა ადამიანს შევუქმნათ სრულფასოვანი ცხოვრების განცდა. მათ სჭირდებათ პირობები, რომ სრულად

გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები. ამავე დროს საზოგადოებაც უნდა იყოს მზად იმისათვის, რომ სოლიდარობა გამოუცხადონ ამ ადამიანებს, ვინაიდან საზოგადოების მხარდაჭერა უფრო მნიშვნელოვან დონეზე აიყვანს მათთვის საჭირო მოთხოვნების რეალიზაციას.

სახელმწიფომ კი უკვე გადადგა პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები და მე დარწმუნებული ვარ, თუ ჩვენ ვივლით უკვე არჩეული და დაგეგმილი გზით, რა თქმა უნდა იქნება უფრო მნიშვნელოვანი შედეგები. დასაწყისი არის. არის სახელმწიფოებრივი ხედვა და ჩვენ ამას აუცილებლად შევასრულებთ. არ არის გამორიცხული, რომ შემდეგი ერთი წელი გამოცხადდეს კიდევ საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების წლად, რომ ბიუჯეტის გარკვეული ნაწილი დაიგეგმოს იმ პრობლემების გადაწყვეტისათვის, რომლებზეც ჩვენ დღეს ვლაპარაკობთ.

როგორ ინგრევა კედელი



3 დეკემბერს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღეს, სასტუმრო რედისონში შედგა ინვალიდობის თემაზე შექმნილი დოკუმენტური ფილმის "როგორ ინგრევა კედელი" პრემიერა ფილმის გადაღება მიმდინარეობდა ზაფხულში პროექტის "თანაბარი პირობების შექმნის ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის" - ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციები — კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და პარტნიორი ორგანიზაცია "გადავარჩინოთ ბავშვებთან (Save the Children) ერთად აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. ღონისძიებაზე ფილმს წარმოადგენდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საზოგადოების წინაშე წარსდგნენ ფილმის შექმნელები რეჟისორი გიორგი გვიშიანი, პროდიუსერი რატი იონათამიშვილი და ოპერატორი ლევან თეთრაძე, აგრეთვე და ფილმის გმირები - ნიკა დონჯაშვილი, სალომე გარუჩავა და ლუკა


ფილმში "როგორ ინგრევა კედელი" ასახულია შვიდი ადამიანის წარმატებულისტორია, რომლებმაც მიუხედავად იმ დაბრკოლებისა, რომელსაც ცხოვრების მანძილზე აწყდებოდნენ, შესძლეს თვითრეალიზაცია და ირგვლივ იმ სტერეოტიპებისა და ცრუ-

წარმოდგენების ნგრევა, რომელიც არსებობს ინვალიდობის მიმართ საზოგადოებაში.

სამომავლოდ "როგორ ინგრევა კედელის" ჩვენება საქართველოში მოქმედი სხვადასხვა ტელეკომპანიების ეთერიდან იგეგმება, რაზეც მიმდინარეობს მოლაპარაკება.



მედიაინიუსი



დღეს მსოფლიოში ინვალიდობის მქონე პირთა დღე აღინიშნება. ეს თარიღი გაერომ 1992 წელს დაანესა, საქართველოში კი მას 1996 წლიდან აღნიშნავენ. როგორც „მედიაინიუსს“ ინვალიდობის თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის — „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ — გამგეობის წევრმა და პიარ-მენეჯერმა რატი იონათამიშვილმა განუცხადა, ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ინვალიდობის მქონე დაახლოებით 140 000 პირია აღრიცხული. ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც პენსიას ამავე სტატუსით იღებენ. არაოფიციალური მონაცემებით კი მათი რაოდენობა დაახლოებით 230 000-ს შეადგენს.

მისივე თქმით, ამ კატეგორიის მოქალაქეთა უფლებები სათანადოდ არ არის დაცული და მათი უმრავლესობა მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებში არ მონაწილეობს. დასახვეწია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ მოქმედი კანონმდებლობაც, რომელიც საზოგადოებაში ასეთი მოქალაქეების ინტეგრაციას ნაკლებად ითვალისწინებს. დეფიციტურია მათი დახმარებისთვის განსაზღვრული

სახელმწიფო პროგრამებიც. კოალიციაში არასწორად მიიჩნევენ ინვალიდობის მქონე პირთა დღის ცენტრების დაფინანსების წესის შეცვლას, რაც მათ ვაუჩერულ დაფინანსებას ითვალისწინებს. კერძოდ, ახალი წესით, ვაუჩერი ისეთ პირებზე გაიცემა, რომლებიც სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფებიან. დანარჩენებს კი დღის ცენტრების მომსახურების სარგებლობა ყოველთვიურად 250 ლარი დაუჯდებათ.

ქვეყანაში არ მუშაობს ასეთი მოქალაქეებისათვის განკუთვნილი ადაპტირებული ტრანსპორტი. რატი იონათამიშვილის ინფორმაციით, 2 წლის წინათ თბილისში ადაპტირებული ავტობუსების შემოიყვანეს, თუმცა, ის კუსტარულად და არაპროფესიონალურად იყო მოწყობილი, ამასთან, ქალაქში არც ავტობუსის ადაპტირებული გაჩერებები მოქმედებდა, ამის გამო ინვალიდობის მქონე პირები მათთვის მოსახერხებელ ტრანსპორტს დღემდე მოკლებულნი არიან.

რატი იონათამიშვილი იმედს გამოთქვამს, რომ არსებული პრობლემები მომავალში გადაიჭრება. ამის თქმის საფუძველს ის იძლევა, რომ ზუსტად ერთი წლის წინ პარლამენტმა ინვალიდობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფცია დაამტკიცა, რომლის მიხედვითაც, მთავრობას სამწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება დაევალა.

კონცეფციის შემუშავებაში კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“, ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით მონაწილეობდნენ. დოკუმენტი ინვალიდობის მქონე პირთა ინტერესების დაცვასა და საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას ითვალისწინებს. თავის დროზე, სწორედ ამ პრინციპებზე დაფუძნებული ცვლილებები მოქმედ კანონმდებლობაში შევა და ის საბოლოოდ დაიხვეწება.



მეგობრობამ ასე იცის

თეიმურაზ კობახიძე

მიმდინარე წლის 10-12 დეკემბერს პროექტის “ყველა ბავშვი ერთ ენაზე იღიმება” ფარგლებში, თბილისში, ფონდი “პირველი ნაბიჯის” ბაზაზე, კავშირმა “ინვალიდი, ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება” ჩაატარა ტრენინგის მე-3 ეტაპი თემაზე — “სწავლების მეთოდები და სისტემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის ტალინში”. ტრენინგები იყვნენ ქ. ტალინის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დღის ცენტრის “-ს სპეციალისტები. პროექტი დააფინანსა ფონდმა “ღია საზოგადოება საქართველო”.

8

მაია ბიბილეიშვილი - კავშირის “ინვალიდი, ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება” თავმჯდომარე ესტონელ მეგობრებთან თანამშრომლობა დაიწყო 2007 წელს. ესტონელმა მეგობრებმა სურვილი გამოთქვეს დახმარებოდნენ ქართველ კოლეგებს

და წერილი გამოაგზავნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში და სთავაზობდნენ თავიანთი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას. სამინისტრო დაგვიკავშირდა ჩვენ და გვითხრა, რომ ძალიან

საინტერესო შემოთავაზებაა და თუ დაგაინტერესებთ დაამყარეთ კონტაქტები. ჩვენ, რა თქმა უნდა, ავიტაცეთ ეს წინადადება და პირადად დავუკავშირდი ტელეფონით ქ. ტალინის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დღის ცენტრის დირექტორის მოადგილეს, ქალბატონ ლინუ მაეს, რომელსაც ძალიან გაეხარდა საქართველოდან ზარი და მითხრა, რომ რა თქმა უნდა ჩვენ უნდა გავაკეთოთ ერთობლივი პროექტები, მაგრამ მანამდე სასურველია ერთმანეთი ახლოს გავიცნოთ და დაგვპატიჟა ტალინში. თქვენ მხოლოდ ჩამოდით, სასტუმროს, კვებისა და სხვა მომსახურების ხარჯებს ჩვენს თავზე ავიღებთ. პირველი შეხვედრა, რომელიც ჩვენ დავგეგმეთ, წარუმატებელი აღმოჩნდა. ვერ მოვიპოვეთ სამგზავრო თანხები. შემდეგ კი ამ საქმეში ჩაერთო შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს ხელმძღვანელი, ბატონი ვატო სურგულაძე და ხუთ კაციანი დელეგაცია ჩავედით ტალინში. იქმძებულმაშობაბეჭდილებაყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. კარგი იყო, რომ ჩვენთან ერთად იმყოფებოდნენ შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, ბატონები ვატო სურგულაძე და სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი, დევი ტაბიძე და საკუთარი თვალთ იხილეს ის პირობები, რასაც ესტონეთის მთავრობა უქმნის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ღირსეული ცხოვრებისათვის. დეტალურად რომ აღვწეროთ ის, რაც ესტონეთში ვიხილეთ, ძალიან შორს წავიყვანს. მხოლოდ ვიტყვი, რომ ეს არის ის ქვეყანა, სადაც ყოველმხრივი პირობებია შექმნილი, როგორც მკურნალობისა და რეაბილიტაციისათვის, ასევე განათლების, პიროვნული შესაძლებლობების რეალიზაციისა და დასაქმებისათვის. ეს ვიზიტი ჩვენთვის ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა შემდგომში. სოციალური დაცვის სააგენტო ძალიან აქტიურად ჩაერთო იმაში, რომ გარკვეული ხარისხით გაუმჯობესებულიყო მუშაობა დღის ცენტრებში. ტალინიდან ჩვენ დავბრუნდით მხოლოდ ერთი კითხვით — რის გაკეთება შეიძლებოდა რეალურად!?

ჩვენს ორგანიზაციაში 2007 წლიდან მუშაობს დღის ცენტრი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მოზარდებისათვის. თბილისში ასეთი 10 დღის ცენტრი მუშაობს. ეს ცენტრები შეიქმნა სახელმწიფოს წახალისებით. სახელმწიფომ რა თქმა უნდა კარგი ქნა, რომ გამოაცხადა ტენდერი



ასეთი ცენტრების მომსახურებაზე, მაგრამ მთელი პრობლემა იყო ის, რომ სახელმწიფომ არ დაადგინა კრიტერიუმები თუ, როგორ უნდა მოეწოდებინათ ამ ცენტრებში გაერთიანებული კონტიგენტისათვის. სატენდერო პირობები მოითხოვდა დღეში მხოლოდ ორჯერად კვებას და მათ ტრანსპორტირებას, ხოლო შიგნით რა კეთდებოდა, ეს არავის აინტერესებდა.

პირველად, როდესაც ეს პროგრამა გამოცხადდა, კოალიციაში “დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის” გაიმართა მსჯელობა ამ საკითხის ირგვლივ. იქ გადაწყდა, რომ მონაწილეობა მიგველო გამოცხადებულ კონკურსში. ძალიან გვსურდა ბოლოს და ბოლოს დაგვეწყოთ ის საქმე, რომელიც ძალიან გვჭირდებოდა. რაც მთავარია, გამოჩნდა ჩვენი ნაოცნებარი საქმის ადგილიდან დაძვრის შანსი. მერე კი, ტრენინგების, სემინარების, კონფერენციების და ა.შ. საშუალებებით დავხვედით და ავიმალლებდით ჩვენს ცოდნას და ამ გზით უფრო გავაუმჯობესებდით მუშაობის ხარისხს.

როდესაც კონტიგენტი მოვიდა და მუშაობა დავიწყეთ, მოვიწვიეთ მშობელთა კრება. მათ აუხსენით ამ ცენტრის დანიშნულება და ვთხოვეთ, რომ თვითონ წარმოედგინათ თავიანთი წინადადებები და სურვილები. მშობელი ხომ ყველაზე კარგი ექსპერტია, ყველაზე კარგად იცის თუ რა სჭირდება მის ბავშვს, რა მიმართულებით უნდა წარიმართოს ბავშვის მკურნალობა, რეაბილიტაცია, განათლება, უნარჩვევების განვითარება და ა.შ. და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით დავგეგმავდით ჩვენი შემდგომი მუშაობის პროგრამას. რომ იტყვიან, ხელის ცეცებით დავიწყეთ ჩვენი მუშაობა. თითქმის ასეთივე გზა გაიარეს საქართველოში მომუშავე სხვა ცენტრებმაც. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვსურდა ამ ძნელ გზაზე მარტო სიარული. მით უმეტეს, ჩვენსაირი საქმის მკეთებელი მრავალი ორგანიზაცია არსებობდა. კარგად გვესმოდა, რომ ერთიანი ძალით და სულისკვეთებით უფრო გადავლახავდით ჩვენს წინაშე წარმოქმნილ სიძნელებებს. ესტონელი მეგობრების შემოთავაზებამ საფუძველი ჩაუყარა ერთობლივი ტრენინგების ჩატარებას და ამ შეკრებაზე მოვიწვიეთ საქართველოში მომუშავე ის დღის ცენტრები, რომლებიც ფინანსდებიან სოციალური პროგრამების სააგენტოს მიერ. ამ ტრენინგზე 25-მა დღის ცენტრმა მიიღო მინაწილეობა და აქ მიღებული ცოდნა რა თქმა უნდა გამოადგებათ შემდგომი მუშაობის პროცესში. უნდა გითხრათ, რომ ძალიან საინტერესო სემინარი

გამოგვივიდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ორ დღიანი შეკრება ძალიან ცოტაა იმისათვის, რომ ყველაფერი ვისწავლოთ და ავითვისოთ, მაგრამ მაინც ძალიან სასარგებლოა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს ღონისძიება დააფინანსა ფონდმა “ღია საზოგადოებასაქართველომ”, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

რაც შეეხება ესტონეთის დელეგაციას - ისინი 6 კაცის შემადგენლობით ჩამოვიდნენ საქართველოში. ამ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც ქალბატონი ლინუ მაე ხელმძღვანელობს, რეაბილიტაციის სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტები არიან და შესანიშნავად ფლობენ თავიანთ პროფესიას. მათ შორის ერთი ქართველია, ექიმი ქეთევან ხელაია, რომელიც ამჟამად თარჯიმნის ამპლუაშია.

ძალიან კარგია, რომ ამ პროექტში ჩაერთო ფინური მხარეც. ესტონეთში მეორედ ჩასვლის დროს ქალბატონმა ლინუმ შეგვახვედრა თავის ფინელ პარტნიორებთან. ამ შეხვედრამ ძალიან შინაარსიანად ჩაიარა და გადაწყდა, რომ ფინეთის წარმომადგენელი ჩამოვიდოდა საქართველოში, ადგილზე ნახავდა ყოველივე იმას, რაც ჩვენთან კეთდებოდა და ამის შემდეგ განისაზღვრებოდა შემდეგი პერსპექტივები. იმედი გვაქვს, რომ ფინეთის წარმომადგენლებთან დავამყარებთ შესაბამის კონტაქტებს.

გუნა ბიბილეიშვილი - სტუდია “ACD” თავმჯდომარე.

- ეს ღონისძიება იგეგმებოდა 3 წლის მანძილზე. ვფიქრობ, რომ ჩვენმა პროექტმა, რომელსაც სათავე დაუდეს ჩვენმა ესტონელმა მეგობრებმა, დიდი სარგებელი მოგვიტანა არა მარტო ჩვენ, არამედ გამოცდილება შესძინა სხვა ანალოგიური ცენტრების წარმომადგენლებსაც. ჯერჯერობით არ არის საშუალება იმისა, რომ ყოველ ცენტრის წარმომადგენელმა იმოგზაუროს ევროპაში და იქაური გამოცდილება შეიძინოს. ამიტომ ჩვენ ვიფიქრეთ, რომ საქართველოში მოქმედი სხვა დღის ცენტრებსაც მიეღოთ მონაწილეობა ამ ტრენინგში და აქმაღლებინათ თავიანთი კვალიფიკაცია. ამ ღონისძიებას ესწრება საქართველოში მოქმედი ცენტრებიდან 25 ორგანიზაცია. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მსურველები მართლაც ბევრია. ეს ტრენინგი მათთვის იქნება ძალიან მნიშვნელოვანი, რათა სწორედ დაგეგმონ პრაქტიკული სამუშაო პროგრამა. ჩვენი ერთობლივი ჩანაფიქრი მართლაც განხორციელებულია, რადგანაც ამ ტრენინგმა კარგი სარგებელი მოგვიტანა.

ეს იყო შესავალი პროექტი, რითაც საზოგადოებას გავაცანით რა ხდება ევროპაში, მაგრამ



ამით დაკმაყოფილდებას არ ვაპირებთ. საჭიროა უფრო ახალი კონტაქტების გაღრმავება და რაც შეიძლება მეტი ცოდნის შექმნა. რომ მოხდეს სერიოზული სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება, ვფიქრობთ აღნიშნულ პროექტის გაგრძელებას ევროკავშირთან ერთად.

ლინუ მაე - დელეგაციის ხელმძღვანელი

- ჩვენ გულდასმით ვაკვირდებით საქართველოში მიმდინარე პროცესებს. ვიცით, რომ დამოუკიდებლობის შემდეგ მრავალი სიძნელე წარმოიშვა საქართველოში. ამიტომ ვიფიქრეთ, ახლა სჯობდა მეგობარი ქართველებისთვის გავგვნია დახმარება. ჩვენ არაფერი დაგვიწყებია, ესტონეთსა და საქართველოს ხომ მეგობრობის დიდი ისტორია გააჩნია. ეს იყო ჩვენი მამოძრავებელი ძალა. მე-რე კი ყველაფერი ჩვეულებრივად წარიმართა. ახლა კონკრეტული გეგმით ვმუშაობთ. ფინეთის მხარეც გამოთქვა ესტონეთ-საქართველოს პროექტთან ერთობლივი თანამშრომლობის და დახმარების სურვილი. ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

როდესაც აქეთ წამოსვლა გადაწყდა, დავუკავშირდით საქართველოს საელჩოს ესტონეთში და ვთხოვეთ აღმოეჩინა დახმარება და მოეწოდებინა ჩვენთვის კანდიდატურა, რომელიც თარჯიმნის მოვალეობას გასწევდა. საქართველოს საელჩომ უყოყმანოდ მოგვანოდა ქალბატონ ქეთევან ხელაიას კოორდინატები და თან დასძინა, რომ ქალბატონი ქეთევანი ცნობილი ექიმი, ამავე დროს ძალიან დაკავებულია თავისი საქმით და თუ დაგთანხმდებათ უკეთეს კანდიდატს ვერ მოძებნითო. როდესაც დავურეკეთ ქალბატონ ქეთევანს, არც კი დაფიქრებულა, მაშინვე გამოთქვა ამ პროექტში მონაწილეობის თანხმობა. ყველაფერი გვერდზე გადადო და სიხარულით დაგვიდგა გვერდზე. ჩვენც დიდი მადლიერნი ვართ საქართველოს საელჩოსი ჭეშმარიტი ქართველი ქალის გაცნობისათვის. ახლა ის ჩვენს გვერდით დგას და ყველანაირად გვეხმარება ამ საქმის წარმატებით განხორციელებაში. ჩვენ მზად ვართ კვლავაც გავწიოთ დახმარება სპეციალისტების მომზადებაში, გავუზიაროთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება.

პერტი რაჯალა — ფინეთის სატაკუნტას რეგიონის გუბერნატორი

ჩემი მიზანი იყო ჩამოვსულიყავი საქართველოში, გავცნობოდი როგორც ქვეყანას, ასევე ჩემს კოლეგებს. აგრეთვე გავცნობოდი თუ რას სთავაზობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს და



მომსახურების რა საფეხურები გააჩნიათ მათთვის. მსურს აგრეთვე დავეგემოთ ფინეთის-ესტონეთის და საქართველოს ერთობლივი პროექტები აღნიშნულ კონტიგენტთან მომსახურების სფეროს გაუმჯობესების მიზნით.

მე საქართველოში ადამიანებს არ ვიცნობ, მაგრამ ვიცნობ საქართველოს ისტორიას. ძალიან ბევრი წამიკითხავს და გამიგია თქვენი შესანიშნავი ქვეყნის შესახებ. ასევე ისიც ვიცი, თუ როგორ დაინყო საქართველომ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა. როდესაც საქართველოში ვაპირებდი წამოსვლას ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში კონსულტაციის დროს მითხრეს, რომ ფინეთის პრიორიტეტია საქართველო და არა სომხეთი და აზერბაიჯანიო. ამ კონსულტაციამ დამარწმუნა ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში. თქვენთან ამ საქმეს შესანიშნავი ადამიანები ემსახურებიან. ბევრი მათგანი გავიცანი, რომლებიც თავის საქმის ნამდვილი



პროფესიონალები არიან, ამიტომ დარწმუნებული ვარ ერთად შესანიშნავ პროექტებს განვახორციელებთ.

რა თქმა უნდა ქალბატონი ქეთევანის გარეშე ეს ინტერვიუც არ გამოვიდოდა. მცირედი დრო მოვიხელთეთ და ვისაუბრეთ. ბუნებრივია საუბარი საქართველოზეც ჩამოვარდა. გულმხურვალედ ლაპარაკობდა თავის სამშობლოზე. აშკარად იგრძნობოდა მონატრეობა და ცოტა

დროით საქართველოში ყოფნის დაუკმაყოფილებლობის განცდა. მტკივნეულად აღიქვამდა საქართველოში მიმდინარე ზოგიერთ მოვლენას და გულწრფელად უხაროდა თავისი ქვეყნის წარმატებები. დამშვიდობებისას თქვა — ჩვენ ძლიერი ჯიშის ერი ვართ, აუცილებლად გავიმარჯვებთ და პირჯვარი გადაინერა. მერე მომიბრუნდა და სიამაყისწარევი ხმით მითხრა — მე ამბროსი ხელაიას შთამომავალი ვარო.

მე-ანია

ინტერპრესნიუსი



ფილარმონიის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის ფოიეში კომპანია „ჯეოსელის“ ფოტოპროექტ „მე ანია“-ს პრეზენტაცია გაიმართა. პროექტ „მე ანია“-ს

ასევე მათი ინტეგრაცია საზოგადოებასთან. „ჯეოსელის“ რამდენიმე ოფისში უკვე არსებობს ყველანაირი პირობა იმისთვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი მივიდეს და მისთვის სასურველი მომსახურებით ისარგებლოს. ამასთან, კომპანიას აღნიშნული კატეგორიის რამდენიმე მოქალაქეც ჰყავს დასაქმებული.



ავტორი 22 წლის ფოტოგრაფი ანა გოგუაძეა, ხოლო პროექტის წარმომდგენი - კომპანია „ჯეოსელი“.

ფილარმონიის ფოიეში გამოფენილ 21 ფოტოზე გლამურულ გარემოში ლამაზი ქალბატონებია ასახული, რომელთაც ერთი დეტალი - ინვალიდის ეტლი აერთიანებთ.

როგორც კომპანია „ჯეოსელის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ირმა ცქიტიშვილმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „ჯეოსელისთვის“ შეზღუდული შესაძლებლობების პირთა თემა ძალიან სათუთია, მნიშვნელოვანია



ახალგაზრდა ფოტოგრაფ ანა გოგუაძის ფოტოებზე დიზაინერ ავთო ცქვიტინიძის კოლექციაა გამოყენებული. ფოტოსესიაზე ეტლი აქსესუარის სახითაა წარმოდგენილი.

ფოტო-გამოფენა „მე-ანია“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დღეს დაემთხვა, რომელიც დღეს აღინიშნება. თავად პროექტის ავტორი ანა გოგუაძე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მდგომარეობა საქართველოში

თეიმურაზ კობახიძე

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიმ ჩაატარა შემაჯამებელი კონფერენცია თემაზე — “შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მდგომარეობა საქართველოში”, რომელიც ჩატარდა გაეროს განვითარების პროგრამისა და ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატის მხარდაჭერით.



დღეს, 4 დეკემბერს, რათა საშუალება გვექონოდა შეგვეფასებინათ თუ როგორ ჩატარდა ეს დღე ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი დიდი სურვილია კორდინირებულად ვიმუშაოთ ამ სფეროში მომუშავე სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ვახტანგ მენაბდე, სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის


დამსწრე საზოგადოების წინაშე სიტყვით წარსდგნენ ქალბატონი ტატა ხუნწარია, საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე, ქალბატონი ანიტა პაულოვიჩი, გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე, ბატონი ვლადლენ სტეფანოვი, ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატის უფროსი მრჩეველი სამხრეთ კავკასიაში ადამიანის უფლებების საკითხებში, ბატონები — ოთარ თოიძე, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ვახტანგ მენაბდე, სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელი, ვახტანგ მახარობლიშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, გია კაკაჩია, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბავშვზე ზრუნვისა და სოციალური პროგრამების სამმართველოს უფროსი.

საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე, ქალბატონი ტატა ხუნწარია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ჩვენი შეხვედრის მთავარი მიზანია შევაჯამოთ ის მუშაობა, რომელიც ერთი წლის მანძილზე განხორციელდა. ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენი გამოცდილება და ვისაუბროთ იმ პრობლემებზე, რაც არსებობს ამ საქმეში. გუშინ აღინიშნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღე, რომელსაც მიეძღვნა მრავალი მნიშვნელოვანი და საინტერესო შეხვედრა. სწორედ ამიტომ, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ შემაჯამებელი კონფერენცია ჩაგვეტარებინა

ხელმძღვანელი

დღევანდელი კონფერენციის მიზანია განეული მუშაობის შეჯამება და ანალიზი. დღეს ჩვენ არა მარტო ვაჯამებთ განეულ მუშაობას, არამედ ანგარიშს ვაბარებთ სამოქალაქო საზოგადოებას და ვახდენთ კოორდინირებას, თუ როგორ შეიძლება პრობლემური საკითხების გადაჭრა. აქ არის წარმოდგენილი ჩვენი ხედვა, როგორ წარმოგვიდგენია ჩვენი როლი შეზღუდული შესაძლებლობის სფეროში და კონკრეტულად, რა აქტივობებით შეგვიძლია შევუწყოთ ხელი ამ სფეროში დადებით და პოზიტიურ ცვლილებების განხორციელებას.

მოგეხსენებათ საქართველოს სახალხო დამცველის აპარტან შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრი. პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ მომზადდა 2008 წლის პირველი და მეორე ნაწილის ანგარიშები და წარედგინა საქართველოს პარლამენტს, სადაც საკმაო მოცულობით არის წარმოდგენილი ის მასალები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ეხებათ საქართველოში. უკანასკნელ პერიოდში კიდევ უფრო გააქტიურდა ჩვენი მუშაობა ამ კუთხით. განვიხილეთ 250 ფაქტი, ინდივიდუალური საჩივარი და წარვადგინეთ რეკომენდაციები შესაბამის ორგანოებში და ამ გზით მოხდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების დაცვა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ სახალხო დამცველის ხედვა ამ მხრივ არა მარტო ინდივიდუალური საჩივრების განხილვა და კონკრეტული პრობლემების გადაჭრაა, არამედ ეს ჩვენ გვეხმარება იმაში, რომ მოხდეს პრობლემების განზოგადება და სამოქმედო გეგმის დასახვა, რომლის შემდეგაც ვცდილობთ უფრო გლობალურად გადავჭრათ პრობლემები სხვადასხვა კუთხით.



ჩვენ არ ვართ შეზღუდული საკანონმდებლო სივრცით. ჩვენი მთავარი ამოსავალი არის საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც განამტკიცებს საქართველოს მოქალაქეების და მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებს. ამავე დროს, ჩვენი სახელმძღვანელო იქნება გაეროს მიერ მიღებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვის კონვენცია, რომელსაც ჯერჯერობით სარეკომენდაციო ხასიათი გააჩნია. ხოლო მას შემდეგ, როდესაც საქართველოს პარლემენტის მიერ მოხდება ამ კონვენციის რატიფიცირება, ეს დოკუმენტი ჩვენი მუშაობისთვის მთავარი სტანდარტი იქნება. ჩვენ მოვუწოდებთ თანამშრომლობისთვის ყველას, ვისთვისაც მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა, ითანამშრომლონ შეზღუდული შესა-



ძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრთან, რომელიც დაგეგმვარება ჩვენს წინაშე დასახული ამოცანის უფრო მაღალ დონეზე გადაჭრაში.

დიდი დისკუსია გამოიწვია საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის და მათი სოციალური უზრუნველყოფის სფეროში არსებულმა მდგომარეობამ, რაზედაც ამომწურავი პასუხი გასცეს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის თანამშრომელმა, ქალბატონმა თამარ მახარაძემ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბავშვთა ზრუნვისა და სოციალური პროგრამების საამართველოს უფროსმა, ბატონმა გია კაკაჩიამ.

ვატიკანი მხარს არ უჭერს.

ნათია გომოლაშვილი

3 დეკემბერს ინვალიდთა საერთაშორისო დღეს, რომლის ღირსეულობა გახლდათ „ღირსება და სამართლიანობა ყველასათვის“ ვატიკანის მუდმივმა დამკვირვებელმა გაეროში, არქიეპისკოპოსმა ჩელესტინო მილორემ განაცხადა, რომ წმინდა ტახტს „ხელი არ მოუწერია და არც მოაწერს“ გაეროს კონვენციას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ.

რომის კათოლიკური ეკლესია გამოთქვამს საშიშროებას, რომ ბევრ ქვეყნებში „ადამიანის რეპროდუქციული ფუნქციის დაცვის სისტემა გულსხმობს ორსულობის ხელოვნურ შეწყვეტას, ეს კი უარყოფს სიცოცხლის წმინდათა წმინდა უფლებას.“

ვატიკანის რადიოს ცნობით, წმინდა ტახტისთვის დოკუმენტის ყველაზე სუსტი მხარე კონვენციის 23 და 25 სტატიებია, რომლებშიც ლაპარაკია „ოჯახის დაგეგმარების“ პრაქტიკაზე. დებულება ითვალისწინებს სამედიცინო მონაცემებზე დაყრდნობით ორსულობის ხელოვნური შეწყვეტას.

ვატიკანის ექსპერტები მონანილეობდნენ რეზოლუციის ტექსტის შეთანხმების მრავალწლიან მუშაობაში და მხარს უჭერდნენ წინადადებათა დიდ უმრავლესობას. მიუხედავად ამისა აბორტის პრობლემამ, მთლიანი დოკუმენტი მიუღებელი გახდა ვატიკანისთვის. კათოლიკე თეოლოგების განსაკუთრებული კრიტიკა დაიმსახურა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ გამოთქმამ „სექსუალური ჯანმრთელობა და შთამომავლობის გაგრძელება“.

მიუხედავად ამისა ვატიკანის რადიომ მთლიანად გაეროს ეს დოკუმენტი დადებითად შეაფასა და მას მნიშვნელოვანი ნაბიჯი უწოდა დედამიწაზე 650 მილიონი ადამიანისთვის ანუ მთელი მოსახლეობის 10% -სთვის თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფის გზაზე. ამ ადამიანთაგან უმრავლესობა მოკლებულია ელემენტარულ უფლებებს, ამიტომ მნიშვნელოვანია მათი კანონის წინაშე თანაბარ უფლებიანობის აღიარება, თავისუფალი გამოხატვის შესაძლებლობა, ხმის უფლება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის სხვა ფორმებით უზრუნველყოფა.



ჩვენ ერთნი ვართ, ჩვენ ერთად ვართ

მიხეილ მიქიაშვილი

16 დეკემბერს, 2010 წლის დამდეგს, ფილარმინიაში ჩატარდა ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ღონისძიება, რომელმაც საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. საქმე იმაში იყო, რომ ამ დღეს, სმენადაქვეითებულთა შორის უნდა გამოვლენილიყო 2010 წლის საქართველოს მზეთუნახავი, “მის საქართველო”. კონკურსში მონაწილეობდა 12 გოგონა. კონკურსის დევიზი იყო “ჩვენ ერთნი ვართ, ჩვენ ერთად ვართ”. ორგანიზატორები იყვნენ თბილისის მერია და საქართველოს ყრუთა კავშირი. ღონისძიებას გვერდში დაუდგა და სპონსორობა გაუწია ზარაფხანამ(ოქროს სპონსორი), თბილისის მერიამ, მაგთიკომმა და პარფიუმერული მაღაზიათა ქსელმა ვულე ვუმ.

ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ ცნობილი ადამიანები: უიტნი ვილსონი(გადავარჩინოთ ბავშვები), ნინო ვესლი (პარფიუმერული მაღაზიათა ქსელის ვულე ვუმ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი), ეკატერინე სოფია(ზარაფხანის გენერალური დირექტორი), თამუნა ღვინიაშვილი (მაქთიკომის პიარმენეჯერი), თეონა თავართქილაძე (დიზაინერი), მამუკა ახვლედიანი (თბილისის ვიცე მერი) და ამირან ბატატუნაშვილი (საქართველოს ყრუთა კავშირის პრეზიდენტი).

საქართველოში ყრუთა საზოგადოების არსებობის 83 წლის მანძილზე, პირველად ჩატარდა სილამაზის კონკურსი. 10 წლის წინ, ქ. პრალაში საფუძველი ჩაეყარა სმენადაქვეითებულ ულამაზეს გოგონათა შორის მსოფლიოს მასშტაბით სილამაზის კონკურსის ჩატარებას. მას შემდეგ, ეს ღონისძიება ყოველწლიურად ტარდება. სილამაზის კონკურსი სმენადაქვეითებულთა შორის მნიშვნელოვანი მოვლენაა მთელს მსოფლიოში და მასში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. ასეთი ღონისძიებები ის ადგილია, სადაც ხდება მათი შესაძლებლობების ყოველმხრივი წარმოჩენა. 2009 წელს პრალაში ჩატარებულ სილამაზის კონკურსში “მის ევროპის” ტიტულის მფლობელი გახდა ქართველი გოგონა, ნინო დავითნიძე. ამჟამად, ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ 2010 წლის 10 ივნისს, ჩვენი დედაქალაქი უმასპინძლებს კონკურსს მსოფლიოს ულამაზესი გოგონას გამოსავლენად, სადაც, დაახლოებით 50 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა თბილისის ვიცე მერი, ბატონი მამუკა ახვლედიანი და აღნიშნა – მოხარული და ბედნიერი ვარ, რომ გვეძლევა ამ ადამიანების გვერდზე დგომის საშუალება. ჩვენ გვე-

ძლევა იმის შესაძლებლობაც, რომ მთელი მსოფლიო ავალაპარაკოთ და ჩვენს დედაქალაქში ჩავატაროთ “მის მსოფლიოს” გრანდიოზული კონკურსი. მოხარული ვარ აგრეთვე, რომ ჩვენ ერთნი ვართ და ვიქნებით მუდამ ერთად. გულწრფელად გილოცავთ ამ დღეს. თბილისის მერიის წარმომადგენლები აქ მრავლად ესწრებიან და ვიტყვი, რომ ასეთი დღეები ყოველწლიურად ჩატარდება და ტრადიციად იქცევა.

საქართველოს ყრუთა კავშირის პრეზიდენტმა, ამირან ბატატუნაშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, პირველ რიგში მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს განუელი დიდი დახმარებისათვის, აგრეთვე ქალაქის მერს, ბატონ გიგი უგულავას და საერთოდ თბილისის მერიას, სპონსორებს ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერისათვის და იმ კერძო პირებს, რომლებმაც ყოველმხრივი დახმარება გაუწიეს ამ ღონისძიების წარმატებით ჩატარებისათვის. — ახლა თითქმის მთელმა მსოფლიომ იცის, რომ დღეს, საქართველოში ტარდება კონკურსი “მის საქართველოს” გამოსავლენად და, რომ 2010 წელს, თბილისში ტარდება მსოფლიოს სილამაზის კონკურსი. ამ კონკურსმა დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი ქვეყნისადმი და მრავალმა ქვეყანამ გამოთქვა აქ ჩამოსვლისა და კონკურსში მონაწილეობის სურვილი. ამისათვის საჭიროა მასშტაბური საორგანიზაციო სამუშაოების ჩატარება. “მის მსოფლიოს” კონკურსის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტი შტაბბინას დაიდებს საქართველოს ყრუთა კავშირის შენობაში. ეს ღონისძიება, რომ ჩატარდეს მაღალ დონეზე, ვთხოვთ ყველას, დახმარება აღმოუჩინონ ყრუთა კავშირს, რომელიც იქნება არა მარტო ყრუთა კავშირის დახმარება, არამედ, წარმოაჩენს ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო მასშტაბით. — თქვა ბატონმა ამირანმა.

კონკურსის მონაწილეებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს პარფიუმერული მაღაზიათა ქსელმა ვულე ვუმ, მაგთიკომმა და თბილისის მერიამ. ბოლოს, ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ ჟიურიმ გამოაცხადა კონკურსში გამარჯვებულნი — ნომინაციაში „მის ელეგანტურობა“ გაიმარჯვა 17 წლის ლელა სუხიტაშვილმა, „პირველი ვიცე მის საქართველოს“ ტიტული მოიპოვა 21 წლის ქრისტინე კვილაძემ, ხოლო „მის საქართველო“ გახდა 17 წლის მზეთუნახავი ნინო კახიძე. რომელიც ზარაფხანის მიერ გაკეთებული ულამაზესი დიადემით შეამკვეს. მასვე გადაეცა ჩვენი დედაქალაქის მერიის მიერ პრემიად დანესებული მაცივარი.



ვიცე „მის საქართველო“
ქრისტინე კვიციანი






„მის საქართველო“
ნინო კახიძე



„მის ელევანტურობა“
ლელა სუხიტაშვილი





იანვარი						
ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31



თებერვალი						
ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28

მარტი						
ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

ივლისი						
ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
		1	2	3	4	
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

აგვისტო						
ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

სექტემბერი						
ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30			



აპრილი							
ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.	
			1	2	3	4	
5	6	7	8	9	10	11	
12	13	14	15	16	17	18	
19	20	21	22	23	24	25	
26	27	28	29	30			

მაისი							
ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.	
					1	2	
3	4	5	6	7	8	9	
10	11	12	13	14	15	16	
17	18	19	20	21	22	23	
24	25	26	27	28	29	30	
31							

ივნისი							
ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.	
	1	2	3	4	5	6	
7	8	9	10	11	12	13	
14	15	16	17	18	19	20	
21	22	23	24	25	26	27	
28	29	30					

ოქტომბერი							
ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.	
				1	2	3	
4	5	6	7	8	9	10	
11	12	13	14	15	16	17	
18	19	20	21	22	23	24	
25	26	27	28	29	30	31	

ნოემბერი							
ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.	
1	2	3	4	5	6	7	
8	9	10	11	12	13	14	
15	16	17	18	19	20	21	
22	23	24	25	26	27	28	
29	30						

დეკემბერი							
ორშ.	სამ.	ოთხ.	ხუთ.	პარ.	შაბ.	კვ.	
		1	2	3	4	5	
6	7	8	9	10	11	12	
13	14	15	16	17	18	19	
20	21	22	23	24	25	26	
27	28	29	30	31			



სოციალური თერაპიის სახლი:

... "გაუცინე სამყაროს და ამით ცხოვრება გახადე უკეთესი"...



ფინჯან ყავაჯი

ცირა ვეფხვაძე



მოდი, ძმებო, ქალაქის შუაგულში ავაშენოთ ხის დიდი სახლი, ავადულოთ სამოვარი, დავდგათ მაგიდაზე, შემოვუსხედეთ, ვსვათ ჩაი და ვისაუბროთ ხელოვნებაზე, — ინატრა გენიალურმა მხატვარმა.

მაშ, ფინჯანი ყავა სათაურში რა სახსენებელი იყო? — იკითხავს მოუთმენელი მკითხველი. არც ეგერა საქმე, მათ შორის გარკვეული მსგავსება ნამდვილად არის: ორივე ცხელი სასმელია, მასტიმულირებელი, სურნელოვანი, გულახდილი საუბრისას სმად სასურველი.

სამოვარი რომანტიზმის საუკუნის კუთვნილებაა, XXI საუკუნის დასაწყისში ყავას უფრო ეტანებიან, რომელიც სწრაფად და იოლად მზადდება; ამიტომ ვისთვისაც დრო ყოველთვის ძვირფასია, ძალზე მოხერხებული.

ისევ ფიროსმანის ოცნებას გავყვით: ქალაქის შუაგულში დიდი სახლიო.

ზაფხულის მინურულს, ქალაქის ხსენებაც არ მინდა, თავის დიდ-პატარა სახლებიანად. მხედველობა რომ მქონოდა, სოფლურ იდილიაში სიხარულით ვიცხოვრებდი. მერე ციხისძირის პანსიონატი რომელ დიდ შენობას არ სჯობია?

კარგა ხანია აღმოვაჩინე, რომ სხვა უამრავ დაავადებათა შორის არსებობს კიდევ ერთი, მეტად უცნაური სენი, რომელსაც „ციხისძირის სინდრომი“ ეწოდება. მისი განკურნების ნამალი წელიწადში ერთხელ, ათიოდ დღით მაინც, იქ ჩასვლა, იმ ადგილებისა და იქაურების მოსიყვარულებაა, თუმცა, თბილისისკენ მომავალს, სენი გზაში გიმძაფრდება და „ჯაჭვი“ რომ არ გიჭერდეს, სიხარულით მიაშურებდი ამ „ოცნების კუნძულს“.

ბუნების ნიაღში ასეთი ნეტარება ბავშვობის მერე აღარ განმიცდია. შესაძლოა, ამიტომ, და, ნაწილობრივ, ჩემი ბუნების გამოც, ინტერვიუ საქართველოს უსინათლოთა კავშირის თავმჯდომარე რეზო მაისურაძესთან მეგობრულ საუბარს უფრო წააგავს, — არავითარი წინასწარ შედგენილ-დანომრილი კითხვები არ გამაჩნია.

ზღვიდან ეს წუთია ამოვედით — გახალისებულნი, გაბედნიერებულნი, გაბავშვებულნი; აივანზე მდგარ ხის დაბალ მაგიდას მივუსხედით, რომელზეც ხილი, ნამცხვარი, ყავით სავსე ფინჯნები დგას და კიდევ ჩართული დიქტოფონი. აქ არიან მისი მეუღლე და ჩემი სხვა მეგობრებიც. ზღვის ტალღების შხუილი სასიამოვნო ფონად გასდევს ჩვენს საუბარს,

ხანდახან მატარებელი ჩაიგრუხუნებს. ნიავს მოაქვს გასაოცარი სურნელი ბალახებისა და ყვავილებისა.

დიდ აივანზე ყველა თავისი საქმით არის გართული. საქმე არც ეთქმის — თამაშობენ: ბანქოს, ნარდს, დომინოს; ლაპარაკობენ, მღერიან, იცინიან. ხმაური ხელს სულაც არ გვიშლის.

უეცრად ბავშვობის დროინდელი მოგონება გაკრთა: „ბიძაჩემი ახალი დაბრუნებული იყო რუსეთში ჩატარებული საჭადრაკო ტურნირიდან, იმერეთში, კოპნია აივანზე ვისხედით; რატომღაც ჟურნალისტობა მომინდა, მიკროფონი ხელში ავიღე და რამდენიმე კითხვით მივმართე. მახსოვს, თითები როგორ მითრთოდა. ის თამაშში ამყვანდა და მთელი სერიოზულობით მიპასუხებდა. მაშინ ვერც ვიფიქრებდი, რომ ის ახირება მერე პროფესიად გადამექცეოდა“.

ფიქრს ვწყვეტ და საუბარს ვინყებ: შენ 4-ათასკაციანი კავშირის რჩეული ხარ! (უხერხულად იშმუშნება)

-ასეა, — განვაგრძობ და ვფიქრობ: „სხვაგვარად დანყება ჯობდა“. ადამიანებმა ნდობა გამოგიცხადეს და კავშირის თავმჯდომარედ მეორედაც აგირჩიეს. მინდა, შენს მიერ განვლილი გზის შესახებ გვიამბო. კავშირის პირველი პირი ხარ და, ცხადია, ინტერესიც დიდია შენდამი.

(ილიმება): -ავტობიოგრაფია გინდა?
-არამხოლოდ წლებში მოქცეული.

-კარგი. დავიბადე ქ. ვალეში 1959 წლის 22 მარტს. 1978 წელს დავამთავრე უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატი და...

(ვანყვეტივინებ): -ძალიან ჩქარობ. მე კი ბევრი რამ მაინტერესებს, მაგალითად, როდის იგრძენი რომ განსხვავებული ბავშვი იყავი? სხვები ხედავდნენ, შენ კი...

- როგორც უნდა გაგიკვირდეს, პირველად ეგ ჩვენს სკოლაში ვიგრძენი. იქამდე ვალეს სამუალო სკოლაში ვსწავლობდი. იანვრამდე დაფაზე მასწავლებლის ნაწერს თავისუფლად ვარჩევდი. მერე თანაკლასელი გოგონას რვეულით ვსარგებლობდი, რადგან დაფიდან გადმოწერა უკვე მიჭირდა. მხედველობა სულ უფრო მაკლდებოდა და მშობლებმა თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლაში გადმომიყვანეს. მანამდე არაფერი მიგრძენია, თანატოლებთან ყოველგვარი თამაში შემეძლო. სკოლის პერიოდი ყველაზე ბედნიერი ხანა იყო ჩემს ცხოვრებაში, — უზრუნველი, უპრობლემო; ვსწავლობდი, ვერთობოდი.

-ცოდნასთან ერთად კიდევ რა მოგცა სკოლა და ვინ იყვნენ ის კეთილი თესლის მთესვარნი შენი გულ-გონებისა? ყველა კეთილ კვალს არ ტოვებს და

მათ შესახებ არც გეკითხები.

- სკოლამ ბევრი რამ მომცა, — უპირველესად, კოლექტივის, ერთიანობის შეგრძნება, მაგრძნობინა „ძალა ერთობისა“; კიდევ ის, რასაც ჩვენ ქუჩაში ვერ მივიღებდით — „ქუჩური განათლება“, „კაი ბიჭობა“ — კარგისა და ცუდის გარჩევის უნარი, პატიოსნების ფასი.

საბედნიეროდ, ბევრი კარგი პედაგოგი მყავდა, ცხონებული მირიან რამიშვილი კი მათ შორისაც გამოირჩეოდა, თავსა და დროს არ ზოგავდა, უშურველად იხარჯებოდა, გვაძლიერებდა სულიერადაც და ფიზიკურადაც, სპორტის სხვადასხვა სახეობაში სპარტაკიადებს აწყობდა, გამარჯვების რწმენას გვინერგავდა.

- როგორც მახსოვს, შენ აბსოლუტური ჩემპიონიც გახდი.

- ეგ მისი ღვანლის შედეგიც იყო.

- ჩვენი თაობა ლიტერატურის სიყვარულით გამოირჩეოდა, რაშიც სკოლის აღმზრდელ-მასწავლებელთა დიდი წვლილი იყო.

- გეთანხმები.

- ვინ იყვნენ ბავშვობაში შენი საყვარელი მწერლები, რომელ ნაწარმოებებს დაასახელებ, ლიტერატურულ გმირებს?

- მეოთხე კლასში ბრაილით ნაბეჭდი ყველა წიგნი უკვე წაკითხული მქონდა. ცხადია, „დიდოსტატი“ ომობანა უფრო მაინტერესებდა, მაგრამ კითხვა მაშინაც და ახლაც ძალიან მიყვარს. სიტყაბუკეში წაკითხულ წიგნთაგან „დათა თუთაშხიამ“ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რომანი ექვსჯერ მაქვს წაკითხული და მომავალშიც არაერთხელ წავიკითხავ. პატარაობისას წაკითხულ წიგნთაგან სტენდალის „წითელი და შავი“ განსაკუთრებით მომწონდა.

- ბავშვობაში რა გახარებდა ყველაზე მეტად?

- ბევრი რამ: მამის მოულოდნელი, დაუგეგმავი ჩამოსვლა, მაღალინიშანი, პირველი რადიომიმღების ყიდვა...

- ცელქი ბავშვი იყავი?

- საკმაოდ.

- ადამიანს ზრდასთან ერთად მიზნებიც ეცვლება. ბავშვობაში რის მიღწევაზე ოცნებობდი?

- მშობლებისაგან ჩაგონებული მქონდა, რომ კარგად უნდა მესწავლა. შეჯიბრება მიყვარდა. ძლიერი კლასი რომ მყოლოდა, გაცილებით მეტს შევძლებდი.

- უნივერსიტეტში სწავლის შესახებ მოგვიყვი: როგორ ემზადებოდი? მერე იქ როგორ სწავლობდი? როგორი ურთიერთობა გქონდა სტუდენტებთან და ლექტორებთან?

- XI კლასში ნანა მასწავლებელი მამეცადინებდა: ხან გაკვეთილების დაწყებამდე მოდიოდა, ხან გაკვეთილების შემდეგ რჩებოდა — მაგალითებს ფირზე მინერდა და შესრულებულ დავალებას

მიმონებდა; დანარჩენ საგნებს თავად ვამზადებდი. სკოლა ოთხ-ნახევრიანი ატესტატით დავამთავრე. იმ დროს ექსპერიმენტი მუშაობდა: თუ ორ გამოცდაში ცხრა ქულას მოვაგროვებდი, დანარჩენ გამოცდებს აღარ ჩავაბარებდი. სამწუხაროდ, მეორე გამოცდაში სამიანი მივიღე, მაგრამ ამის მიზეზი საგნის უცოდინარობა კი არაა, ჩემი გამოუცდელობა იყო. ზეპირი ბარდებოდა და დაფა-ფანქარი აღარ წავიღე. გამომცდელმა პირველად მე გამომიძახა, მაინც არ წერო. დაფიქრების საშუალება აღარ მომეცა. სამაგიეროდ, ისტორიის გამოცდას მომზადებული შევხვდი და ფრიადიც მივიღე. როგორც ხედავ, იოლად არ ჩავრიცხულვარ. არც სტუდენტობა ყოფილა ადვილი. როგორც სხვა უსინათლო სტუდენტებს, მეც მიჭირდა კონტაქტი თანაკურსელებთან. უფრო სწორად, თავად მეპყრობოდნენ გამორჩეულად, მაგრამ ეს მხოლოდ იანვრამდე. მერე დავუახლოვდი გია აბაზაძეს, როლანდ სარჯველაძეს, სოსო მელქაძეს, სხვებსაც და უკვე კარგი იყო.

- სად ცხოვრობდი?

- ბიძაშვილთან ერთად ნუცუბიდის 179-ში ვცხოვრობდი ქირით შალიბაშვილების ოჯახში. დიასახლისი ძალზე კეთილი და ყურადღებიანი ქალი იყო, საკუთარი შვილებივით გვივლიდა. წლების შემდეგ სამისამართო ბიუროს მეშვეობით მომძებნა ვაზისუბანში, უკვე დაოჯახებული.

- ბევრ უსინათლო სტუდენტს ფიზიკურინაკლისმომიზეზებით სესიებისთვის თავი იოლად დაულენვია და მაღალი ნიშნებიც მიუღია.

- ნიშანი არასოდეს მითხოვია. საკმაოდ კარგად ვსწავლობდი, თუმცა ორი სამიანი მაინც გამომყვა: ერთი-სახალხო ეკონომიკის დაგეგმვაში (26 საკითხიდან მხოლოდ 2 არ ვიცოდი — ბოლო ყრილობის

მასალები და სწორედ ის საკითხები შემხვდა) და მეორე — ფილოსოფიაში (ლექტორი დაგვპირდა, თუ ლექციას არ ვაგუცდენდით, სამს გამოუცდელოდაც დაგვინერდა) - მეც თავი აღარ ავიტყვიე.

- ახლა შენი დაოჯახების შესახებ გვიამბე. ზოგი იმიტომ ქორწინდება, რომ სხვათა წესს მისდევს, ზოგსაც საყვარელი ადამიანის გარეშე ყოფნა აღარ შეუძლია.

- ყველაფერს მომზადება სჭირდება. ცხადია, შემეძლო პირველ კურსზევე შემერთო ცოლი, მაგრამ ნაადრევად მივიჩნიე. დაუფიქრებლად ნაბიჯის გადადგმა არ მიყვარს. ფიქრი ფიქრად და მეუღლე დიდი სიყვარულით შევირთე.

- მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა. რას ნიშნავს ახლა შენთვის ოჯახი?

- ოჯახი ჩემთვის ყველაფერია: ციხესიმაგრეა, ბედნიერებაა. ბანალურად ჟღერს, მაგრამ ასეა.

- უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რას საქმიანობდი?

- სტუდენტობისასვე ვმუშაობდი ნუგზარ



ერემადის მუსიკალურ ბრიგადაში ინსტრუმენტების ამწყობად. ექვს თვეს ვდიე, ვიდრე საქმეს ვისწავლიდი. დაოჯახების შემდეგ მტვირთავად დავინყე მუშაობა ჭანჭიკების საამქროში. თუ ვინმე გააცდენდა, მის დაზგასთანაც ვჯდებოდი-ოჯახს ბევრი სჭირდებოდა. საერთოდ კი, სადღა არ მიმუშავია: ჯაგრისების, კერამიკის, სათამაშოების, რეზინების საამქროებში.

-არ გეთაკილებოდა? ეკონომიკის ფაკულტეტი გქონდა დამთავრებული. ჩვენში „დიპლომიანებს“ სულ მცირე, თავმჯდომარეობა მაინც სურთ.

-შრომა არასოდეს მიუკადრისებია, არც დამზარებია. 1987 წლიდან კულტურის სახლის დირექტორის მოადგილედ ვმუშაობდი, შემდეგ რესპუბლიკური ბიბლიოთეკის განყოფილების გამგედ, შრომის მასწავლებლად ჩვენს სკოლაში, რათა იქ მოსწავლე ჩემი შვილისათვის მეტი ყურადღება მიმექცია, 1999 წლიდან- საქართველოს უსინათლოთა კავშირის გამგეობაში კომერციული განყოფილების წამყვან სპეციალისტად. 2001 წლიდან დღემდე კი — საქართველოს უსინათლოთა კავშირის თავმჯდომარედ. ბიბლიოთეკაში მუშაობის პარალელურად ჩემს სარდაფში სამკაულებსა და ღილებსაც ვამზადებდი, რომ ოჯახს არ გასჭირვებოდა. საღამოს 7 საათიდან გვიან ღამემდე ვიჯექი, ვუსმენდი „მაიაკის“ მუსიკალურ გადაცემებს და ვმუშაობდი.

-სიტყვამ მოიტანა და, ბარემ აქვე ვთქვათ: მუსიკის რომელ ჟანრს უსმენ?

-გემოვნება არ შემცვლია, — ადრეც და ახლაც კარგ ქართულ და რუსულ საესტრადო მუსიკას ვუსმენ.

-ვიცი, რომ ოპერაშიც ხშირად დადიხარ.

(ელმბება): -2002 წლამდე ოპერაში არ ვყოფილვარ. ჩემი პირველი წასვლა მოულოდნელი იყო: რადიოექტორინაში ოპერის ორი ბილეთი მოვიგე. მახსოვს, ხაჩატურიანის იუბილესთან დაკავშირებით სომხეთის სიმფონიური ორკესტრი და ოპერის სოლისტი იყვნენ ჩამოსულნი. დიდი სიამოვნება მივიღე. მას შემდეგ მართლაც ხშირად დავდივარ მეუღლესთან ერთად. სულ სხვაა საოპერო სპექტაკლი ოპერის დარბაზში, რადიოთი მოსმენა არც შემიძლია. ოპერა დიდებულია.

-მოდი, შენს საქმიანობაზე ვისაუბროთ: რას ნიშნავს შენთვის საქართველოს უსინათლოთა კავშირის თავმჯდომარეობა? ორგანიზაციის პირველ კაცად ყოფნა საამაყოა თუ უფრო პასუხისმგებლობაა, მოვალეობაა, ტვირთია? როდის იგრძენი, რომ შეგიძლია სწორად მართვა კავშირისა?

(ელმბება): -სწორად თუ არასწორად, მაგას მომავალი გამოაჩენს. დიდი თუ პატარა — ყველა შემთხვევაში ტვირთია. როდის გამიჩნდა სურვილი თავმჯდომარეობისა? ალბათ, 1999-2000 წლებში, როცა ეკონომიკური მექანიზმი მოიშალა, სანავის პრობლემასთან დაკავშირებით შემოსავალი საგრძნობლად შემცირდა, საქმე უკან წავიდა, კატასტროფა ახლოს იყო. თანამოაზრეთა ჯგუფთან

ერთად შექმნილი ვითარება გავანალიზე და სამოქმედო გეგმა შევიმუშავე. კავშირი ახლაც მძიმე მდგომარეობაშია და თუ მკვეთრი, გონივრული ნაბიჯები არ გადავდგით, კატასტროფა არ აგვცდება. უმოქმედობით, არსებული შემოსავლების ხარჯვით, იგივე დღე დაგვადგება.

-იქნებ უფრო დაწვრილებით გვესაუბრო „გადასადგმელი ნაბიჯების“ შესახებ.

-დღეს საქართველოს უსინათლოთა კავშირი სანარმოებში ფლობს წილის 100%-ს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ კავშირი აკონტროლებს მათს მუშაობას, ნიშნავს დირექტორებს და მოგების ასივე პროცენტი მისია. რომ ვაკვირდები, ჩვენი კავშირი კომუნისტურ საზოგადოებას ჰგავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველასი და ბოლოს არავისია ეს სანარმოები. ძალიან რომ მოვინდომოთ, ეგებ ერთი სანარმო მართვა კიდევ შევძლოთ, მაგრამ ეს ვითარებას ვერ შეცვლის. სისტემა უნდა შეიცვალოს, ანუ მოტივირებულ ადამიანთა წრეში მოექცეს ეს ყველაფერი. მოტივაციაში ვგულისხმობ იმას, რომ ადამიანს ეთავისებოდეს ეს სანარმო და მერე მიხედავს, მოუვლის, უპატრონებს, ეცდება, რომ აამუშაოს, თვითონაც მოიგოს და კავშირსაც მოაგებინოს. წამგებიანი სანარმოები ხვალ და ზეგ ველარ იარსებებენ, უბრალოდ, გაიყიდებიან. მაგალითად, რუსთავეში უკვე მივიდნენ საგადასახადოს ექსპერტები და შეაფასეს გასაყიდად, რადგან სანარმოს ვალები აქვს. ამის საშიშროებაა ყველგან. სხვა საქმეა, თუ კერძო პირი დაინტერესდა და სანარმო იყიდა, თუმცა ესეც სარისკოა. ვთქვათ, ჩვენგან წილის 51%-ს ვყიდით, რაზეც ოპონენტები გვაკრიტიკებენ, გამოჩნდება კი მყიდველი? თუნდაც გამოჩნდეს ვინმე, გაყიდვით მოგება არ მოდის. მოგებისათვის კიდევ ბევრი რამ არის საჭირო: თანხის დაბანდება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რომ პროდუქცია გამოვიდეს. ჩვენს ქვეყანაში არსებული ვითარება ამის საშუალებას არ იძლევა. საქართველო მომსახურებაზე და არა წარმოებაზე ორიენტირებული ქვეყანაა. ჩვენ რასაც ვაკეთებთ, ეს არის მცდელობა. თუ საკონტროლო პაკეტის გაყიდვამ არ გაამართლა, მაშინ მოგვინევს მთელი ქონების გაყიდვა, თორემ სხვები გაგვიყიდებიან. თუ სხვა გზა არ გამოჩნდა, ჩვენვე უნდა გავყიდოთ, თანხა ბანკში დავდოთ და დივიდენდი ვხარჯოთ. ჯერჯერობით სრული გაყიდვის მომხრე არა ვარ. თუ 51%-ის მყიდველები გამოჩნდნენ, საქართველოს უსინათლოთა კავშირი უნიკალური იქნება მთელს ევროპაში, ესპანეთის გარდა, რადგან ჩვენ გვექნება, თუ საკონტროლო პაკეტები არა, პაკეტები მაინც, რომლებსაც მიზნობრივად გამოვიყენებთ.

საუბარი ტელეფონის ზარმა შეგვანყვეტინა, — ფინანსთა სამინისტროდან დაურეკეს, აცნობეს, რომ ბოლოს და ბოლოს მინისტრმა ხელის მოწერა იწვევდა ჩვენი პრინციპული შესაკეთებლად გაიგზავნება. ძლიერ გამიხარდა, რადგან, ბევრი მკითხველის მსგავსად, ჩემთვისაც ბრაილის შრიფტი უალტერნატივოა.

ბაბრეილება შემდეგ ნომერში

შესაძლებლობა და არა უძლურება

**თამარ ხახტაძე, ნანი ყავლაშვილი (მედ. მეცნ. კანდიდატი),
ქეთევან ნაგსაძე (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
მ. გურამიშვილის სახელობის პედიატრიული
კლინიკის დირექტორი)**

ბავშვობა,
დასაწყისი 2009 წ. №9, №10

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სკოლამდელ სასწავლო დანერგვებულუბაში

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ინტეგრირებას სკოლამდელ სასწავლო დანერგვებულუბებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ადრეული ჩართვის პროცესისათვის. აქ ხდება მათი შესაძლებლობების მაქსიმალური, ყოველმხრივი განვითარება (ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით).

სხვადასხვა სახის ჩამორჩენილობის მიუხედავად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების პრობლემები ერთმანეთის მსგავსია, თუმცა შესაძლოა გამოხატული იყოს სხვადასხვა ხარისხით:

- მეტყველების პათოლოგია, რაც აღრმავებს ურთიერთობის დეფიციტს;
- ემოციური ლაბილობა, რაც თანსდევს ორგანულ დაავადებებს;
- ფსიქოლოგიური პასიურობა, როგორც ოჯახისა თუ სამედიცინო დანერგვებულუბაში ზედმეტი მზრუნველობის შედეგი.

ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ სკოლამდელ ასაკში პათოლოგიის გაღრმავება ჯერ კიდევ გრძელდება, რადგან ბავშვის ფიზიკურ ზრდას შესაძლოა საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დეფორმაცია მოჰყვეს.

ასეთ ბავშვებთან კორექციული მუშაობის მხოლოდ ადრეული ეტაპებზე დაწყებით მიიღწევა წარმატებული შედეგები იმდენად, რამდენადაც ამ ასაკში ტვინის ფუნქციური სისტემები ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია.

სკოლამდელ დანერგვებულუბებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა კორექციული აღზრდის მიზანს, მათი შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარება და სკოლისათვის მომზადება წარმოადგენს. ეს მიზანი შემდეგი ამოცანების გადაწყვეტით მიიღწევა:

- მეტყველების განვითარების კორექცია;
- მოძრაობის ფუნქციის შექმნის-სდაგვარი სრულყოფა;
- სასკოლო სწავლებისათვის მომზადება;
- ოჯახში ბავშვის აღზრდისადმი სწორი დამოკიდებულების ფორმირება.

კორექციულ-პედაგოგიური პროცესი რეალიზდება ორ ეტაპად:

- I საფეხური – მოსამზადებელი (მოიცავს 1-დან 4 წლამდე ბავშვთა აღზრდას);
- ბავშვის ადაპტაცია სკოლამდელ დანერგვებულუბაში;

• ფსიქიური სფეროს განვითარების პირველადი დიაგნოსტიკა;

• განვითარების ინდივიდუალური პროგრამების შედგენა;

• მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება ამ პროგრამების ასათვისებლად.

II საფეხური – ძირითადი (მოიცავს 4-დან 7 წლამდე ბავშვთა აღზრდას):

• საბავშვო ბაღისადმი დადებითი ემოციების ჩამოყალიბება;

• ფსიქიური სფეროს განვითარება: მგრძობელობა, აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება მეტყველება, გაცნობიერება;

• გადაადგილების, შეხების, იმიტაციის, გააზრების ფუნქციების ფორმირება;

• კომუნიკაციის, თამაშის, თვითმომსახურების უნარ-ჩვევების ათვისება.

პედაგოგმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა შეძლოს მოძრაობის რეჟიმის სწორი ორგანიზება, რაც მაგიდასთან მუშაობის, თამაშის და ძილის დროს შედარებით მოხერხებული პოზის შერჩევაში მდგომარეობს.

აღსანიშნავია, რომ ასეთი ბავშვები მალე იღლებიან, განსაკუთრებით, აქტიური მოქმედების პროცესში, ამიტომ განტვირთვისთვის პერიოდულად საჭიროა ფიზკულტურული პაუზის ჩატარება.

შემთხვევა I ბავშვები კუბებისაგან შენობას აგებენ. პედაგოგმა შენიშნა, რომ ბავშვი დაიღალა და ყურადღება ეფანტება. იგი უნდა მივიდეს მასთან და თუ ეს შესაძლებელია, წამოაყენოს სკამი და, სთხოვოს სათამაშოების კარდასთან მისვლა და იქიდან რომელიმე მათგანის მოტანა. ამის შემდეგ მას შეუძლია კუბებით თამაშის გაგრძელება. ამ შემთხვევაში აქტივობის შეცვლა მისთვის დასვენებას წარმოადგენს.

შემთხვევა II ბავშვები ალბომში ნახატებს აფერადებენ. პედაგოგს შეუძლია მივიდეს ბავშვთან, გაესაუბროს ნახატის გაფერადებასთან დაკავშირებით და ამით მისცეს მას ხელის დასვენების საშუალება.

ამ კატეგორიის ბავშვებში მოძრაობითი უნარ-ჩვევების განვითარება ეტაპობრივად ხდება, რაც დიდ დროსა და მოთმინებას მოითხოვს. ეს პროცესი საინტერესო და გასაგები გახდება იმ შემთხვევაში, თუ მეცადინეობებს თამაშის სახე მიეცემა.



პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია ბავშვმა ისწავლოს შემდეგი მოქმედებები:

- საგნების აღება და დადება;
- მათი გადაადგილება ხელიდან ხელში
- მოთავსება გარკვეულ ადგილას.

პედაგოგს აგრეთვე შეუძლია გამოიყენოს საკეტების, ონკანების, ტელეფონების სხვადასხვა ნაკრებები, რათა შეასწავლოს ბავშვს:

- საკეტისა და ონკანის გაღება დაკეტვა;
- ტელეფონის ფირფიტის დატრიალება;
- ყურმილის აღება.

იმიტაციის დახმარებით ბავშვები სწავლობენ მაგ: სინათლის ჩართვას, გამორთვას, ტელევიზორის გადართვას და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ხელის ფუნქციების განვითარებას საბავშვო ბაღში მისვლისთანავე, რათა მოხდეს ისეთი მოძრაობითი უნარ-ჩვევების ფორმირება, რომელთა დაუფლებაც საჭიროა თვითმომსახურების, თამაშის, სწავლისა და შრომის პროცესებში.

რა თქმა უნდა, ამ მუშაობაში აქტიურად უნდა მოხდეს მშობელთა ჩართვა, რათა გამყარდეს პედაგოგების მიერ ფორმირებული უნარ-ჩვევები. მხოლოდ მათი ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი კორექციული მუშაობის ეფექტური წარმართვა და დარღვეული ფუნქციების სრული ან ნაწილობრივი აღდგენა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ბავშვის შესაძლებლობათა გათვალისწინება და ზუსტი ცოდნა იმისა, თუ რისი მოთხოვნა შეიძლება მისგან და რა მოცულობით. მან (ბავშვმა) აუცილებლად უნდა დაინახოს საკუთარი შრომის შედეგი. მხოლოდ უფროსების მოთმონება, მათი თავდაუზოგავი შრომა, წარუმატებლობის შემთხვევაში – გამხმევება, წახალისება უმნიშვნელო წარმატების დროსაც კი – უზრუნველყოფს დადებით შედეგს. ამასთან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის სკოლისათვის მზადების პროცესში პედაგოგებისა და მშობლების ყურადღება მიმართული უნდა იყოს იმ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის ფორმირებისაკენ, რომლებიც შეადგენენ თამაშის, სწავლის და შრომითი საქმიანობის საფუძველს.

კომუნიკაციის (ურთიერთობის) მეთოდები

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები უპირველეს ყოვლისა ბავშვები არიან და ამიტომ კომუნიკაციის ძირითადი პრინციპები არ განსხვავდება “ჯანმრთელ” ბავშვებთან ურთიერთობის პრინციპებისგან. უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვები სრულიად სხვა სამყაროში ცხოვრობენ, მათთვის ფასეულობებიც განსხვავებულია. ისინი ძალზე ეგოცენტრული არსებები არიან და ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მათთან ურთიერთობის სწორ წარმართვას.

ზოგადად ბავშვებთან კომუნიკაციის ძირითადი პრინციპები:

- შეიმუშავეთ თქვენთვის სასურველი საკომუნიკაციო მეთოდი;
- მოექეცით ბავშვს ისე, როგორც თქვენ გსურთ რომ მოგექცნენ.
- მზად იყავით იმისათვის, რომ შესაძლოა ზედმეტი დრო დახარჯოთ;



ბავშვები აღქმის პროცესისათვის საერთოდ ძალიან ნელი არსებები არიან. მათ არ უყვართ სისწრაფე, ამიტომ მათთან კომუნიკაციის დროს წარმატების მისაღწევად საჭიროა ზედმეტი დროის დათმობა.

- მიიპყარით მისი ყურადღება; თუ ბავშვი მოსმენისათვის მზად არ არის, მასთან საუბარი ფუჭად ჩაივლის, ამიტომ უნდა დაელოდოთ მისი ყურადღების კონცენტრირებას.
- მოუსმინეთ მას მთელი გულისყურით; ცნობილია, რომ ჭეშმარიტი მოსმენა რთულია. ჭეშმარიტი მოსმენაში იგულისხმება არა მხოლოდ ბავშვის სიტყვების გაგება, არამედ მათ მიღმა არსებული აზრების აღქმა.
- ნუ იჩქარებთ დასკვნების გამოტანას; ნუ დაირწმუნებთ თავს იმაში, რომ თქვენ ადვილად გაიგეთ ბავშვის აზრი. გაამხმევით, ალაპარაკეთ, ჩანვდით მის ლოგიკას და მხოლოდ ამის შემდეგ ეცადეთ დასკვნის გამოტანა.
- აღიქვით და გაითვალისწინეთ ბავშვის გრძნობები; ბავშვები უფრო მეტედ იხსენებენ, შედარებით მშვიდად და თავისუფლად საუბრობენ მაშინ, როდესაც მათ გრძნობებს ანგარიშს უწვენენ.
- პატივი ეცით მის აზრს; მოზრდილები ძალიან ხშირად უგულვებელყოფენ ბავშვების გრძნობებსა და თვალსაზრისს. ასეთ შემთხვევაში მათ უფროსების მიმართ უწინდებობა უნდობლობა და ცოტას საუბრობენ კრიტიკის თავიდან ასაცილებლად.
- გაითვალისწინეთ მისი მეტყველების განვითარების დონე; ცნობილია, რომ ბავშვები ჯერ ცალკეულ სიტყვებს სწავლობენ, შემდეგ ამდიდრებენ ლექსიკურ მარაგს, მარტივი წინადადებებიდან გადადიან რთულზე. დიდხანს უნდებიან აზრის გადმოცემას, ამიტომ მათთან ურთიერთობა უნდა წარმართოს მათთვის ადვილად მისაღებ ენაზე.
- გაითვალისწინეთ მისი აღქმის უნარის დონე; მეტყველების განვითარება და მოვლენების აღქმა ერთმანეთთან არის დაკავშირებული, მაგრამ ჭეშმარიტებას წარმოადგენს ისიც, რომ ბავშვებს უფრო მეტი ესმით, ვიდრე მათ შეუძლიათ თქვან.
- იცოდეთ თქვენი ხმის ტონის და სხეულის ენის შესახებ; თქვენი საუბრის ტონი და სხეულის ენა (მიმიკები და ჟესტიკულაცია) იგივეს უნდა გადმოსცემდეს, რასაც თქვენი სიტყვები. წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვი ვერ აღიქვამს თქვენს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.
- მასთან ერთად ეძიეთ ალტერნატივები და გადანყვევტილებები. პრობლემების გადანყვევტის პროცესში ბავშვის ჩართვის მიზანია მისი დახმარება საკუთარ თვზე გარკვეული პასუხისმგებლობის აღების სწავლაში. ეს იძლევა აგრეთვე ბავშვთან თანამშრომლობის საშუალებასაც.

უნდა ირწმუნო, რომ გაიმარჯვო, ანუ 60 პარჯიში სიცოცხლისათვის

თეიმურაზ მიქიაშვილი

წერილების ეს სერია ეძღვნება ჯანმრთელობის აღდგენის იმ უნიკალურ და ნოვატორულ სისტემას, რომელიც ჰარმონიულად ერწყმის ფიზიკურ და გონებრივ ვარჯიშებს.

ყველაფერს გააჩნია თავის წინაპირობა და რა თქმა უნდა წინამდებარე წერილსაც ჰყავს სულის ჩამდგმელი, რომელიც გახლავთ ვალენტინ დიკული. როდესაც ვახსენებთ მის სახელს, მაშინვე წარმოგვიდგება ადამიანის სულიერი და ფიზიკური სიძლიერე, გასაოცარი მიზანსწრაფულობა და სიმტკიცე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ვალენტინ დიკული — ჩვენი დროის ლეგენდარული პიროვნებაა. მან ჩაიდინა ნამდვილი გმირობა. ეტლზე მჯდომმა პირველი ჯგუფის ინვალიდმა, შესძლო ექიმების მიერ გამოტანილი “განაჩენის” გაქარწყლება და არა მარტო ფეხზე დადგომა, არამედ გახდა რუსული ცირკის ვარსკვლავი, შექმნა განსაკუთრებული, თვითმყოფადი რეაბილიტაციის სისტემა, რომელიც ეყრდნობა უახლეს მეცნიერულ მიდგომებს, გახდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და დაარსა მსოფლიოში ცნობილი სამკურნალო-სარეაბილიტაციო კლინიკა, სადაც მისი მეთოდებით მკურნალობენ.

მისი ისტორიის გაცნობის დროს, იბადება კითხვა: — რაშია ვალენტინ დიკულის საიდუმლოება? რა ჯადოქრობით შესძლო უიმედო მდგომარეობაში მყოფმა ადამიანმა ჯანმრთელობისა და სიძლიერის დაბრუნება?

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასწაული, რომელიც ვალენტინ დიკულმა მოახდინა, განსაკუთრებულია. ვინაიდან, ამ სასწაულის მოხდენა დიკულმა შესძლო თვითონ, სხვის დაუხმარებლად, თავისი რკინისებური ნებისყოფით. მისი უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს სასწაული იმედს აძლევს ყველას, ვინაიდან ასეთი სასწაულის ჩადენა შეუძლიათ არა ღმერთის რჩეულებს, არამედ ყველას, ვისაც გააჩნია ძალა, ნებისყოფა და სიმტკიცე, შეუძლიათ ყოველდღიური ბრძოლა დაავადების დასამარცხებლად და შრომა სანუკვარი მიზნის მიღწევისათვის. მისი პირადი სასწაული ვალენტინ დიკულის ფენომენია, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი გახლავთ უნიკალური ვარჯიშების კომპლექსები ხერხემლისათვის, რომლებიც დაღუპვის (სიკვდილის) საშუალებას არ აძლევს კუნთებს, ხელს უწყობს მოძრაობის უნარის აღდგენას. მას იცნობს ყველა. რუსმა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მედიკოსებმა ერთხმად აღიარეს, რომ დიკულმა შექმნა საკუთარი,

განუმეორებელი სისტემა, შეიმუშავა ფიზიკურ ვარჯიშთა განსაკუთრებული მეთოდიკა, რომელიც იძლევა გასაოცარ შედეგებს. მეორე შემადგენელი ნაწილიც სასწაულია. ის გახლავთ განწყობა ჯანმრთელობის დასაბარუნებლად, ჩვენი შემეცნების განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც გვაძლევს ვარჯიშს, არ გვაძლევს გულგატეხილობის და ხელის ჩაქნევის საშუალებას, და სიგნალს გადასცემს მთელ ორგანიზმს — “მე შემიძლია, მე ავდგები, მე ჯანმრთელი ვიქნები, მე უკვე ჯამრთელი ვარ!”. ჩვენი სხეული — ტვინიდან მოწოდებული ბრძანების მორჩილი შემსრულებელია. უბრძანებს მას სირბილს-ის გაიქცევა. უბრძანებს შიმშილს — დაიწყებს შიმშილს, ხოლო, თუ უბრძანებს ჯანმრთელობას — იქნება ჯანმრთელი. დიკული დარწმუნებულია: მანამდე, სანამ ფიზიკური ვარჯიშების ჩატარებას დაიწყებ, უნდა ჩაატარო სრულყოფილი ფსიქოლოგიური მომზადება, ტვინიდან გაგზავნო განსაკუთრებული სიგნალები, რომელსაც დაემორჩილება ორგანიზმი.

თანამედროვე მეცნიერება სულ უფრო და უფრო გვარწმუნებს, რომ ფსიქოლოგიური განწყობა, მენტალური ზემოქმედების როლი ადამიანის ჯანმრთელობის აღდგენა-შენარჩუნებაში, უდიდესია. არსებობს თეორია, რომელიც გვიხსნის ადამიანის ორგანიზმზე ფსიქოფიზიოლოგიური გავლენის ფენომენს. მაგრამ, საბოლოოდ, თუ როგორ ხდება ამ ფენომენის გავლენა ჯანმრთელობის აღდგენის მიმდინარეობაზე, მეცნიერებას მისი ახსნა ჯერ არ შეუძლია. ამიტომ, გამოჯანმრთელება ყოველთვის სასწაულის ტოლია. ცნობიერების და ქვეცნობიერების



ურთიერთგავლენის მექანიზმები ჯერ კიდევ ხომ არასაკმარისადაა შესწავლილი. ჯერ კიდევ გაუგებარია, როგორ ახერხებს ტვინი ამ სისტემების ურთიერთმოქმედებას, მაგრამ ერთი კი ცხადია — საკუთარ ტვინთან მჭიდრო კონტაქტის დამყარების შემდეგ, შეიძლება მათ (სხეულისა და ტვინის) წინაშე დაისვას გარკვეული მიზნები. მაგალითად, ჯანმრთელობის პრობლემის გადაწყვეტა.

ამრიგად, ჩვენი წერილების ძირითადი ამოცანაა — გავაცნოთ დიკულის ფენომენი ყველა ადამიანს, ვისთვისაც საჭიროა ამ მეთოდების ცოდნა. შევმატოთ იმედი და შთაბეჭოთ სულის სიძლიერე მათი მიზნების აუცილებელი განხორციელებისათვის. როდესაც ყველა აზრი განწყობილი იქნება საოცნებო მიზნის განხორციელებისათვის, ადამიანი შესძლებს ნებისმიერი დაავადების დამარცხებას, შესძლებს ნებისმიერი სიძნელეების გადალახვას.

ამიტომ, ჩვენ მოგიტხოვრებთ იმ ადამიანზე, რომელმაც დაიჯერა. მან, ვინც (უნებისყოფობის ან ექიმების დახმარებით) ჯვარი დაუსვა თავის ბედს, საკმარისია ნაიკითხოს ვალენტინ დიკულის ავადმყოფობის და გამოჯანმრთელების ისტორია, რომ შვევით ამოისუნთქოს და იმედით აღივსოს. მის მაგალითზე თქვენ დარწმუნდებით, რომ ყოველ ჩვენგანს ბუნების მიერ ბოძებული აქვს დიდძალი მარაგი, ჯანმრთელობის აღდგენის უნარი, ყველაზე საშინელი უკურნებელი დაავადების და ტრავმების დროსაც კი. მთავარია დარწმუნდე საკუთარ შესაძლებლობებში.

რა განსაზღვრავს ადამიანის ბედს? პირველ რიგში პიროვნული ხასიათი და სულიერი სიძლიერე. ჯანმრთელობის სათავე - აბები, პროცედურები და ტრენაჟორები კი არ არის. მათ არ შეუძლიათ სასწაულის მოხდენა. ყველაფერი დამოკიდებულია პიროვნებაზე. თუ ადამიანს სჯერა გამარჯვების, ის გადალახავს თავის უძლურებას. თუ ის უნებისყოფო და დაბნეულია, ვერ უშველის ზღაპრებში მოხსენებული "უკვდავების წყაროც" კი. გამოჯანმრთელების სასწაულის მოხდენა შეუძლია მხოლოდ ძლიერ ნებისყოფას, გარდაუვალი გამარჯვების რწმენას, ბრძოლის მოგებისათვის განწყობას. ამის განხორციელებაში მოგვეხმარება ზემოთ ნახსენები მეორე ნაწილი, რომელიც გულისხმობს მთელი სულიერი ძალების მობილიზებას, საკუთარი შინაგანი რეზერვების გააქტიურებას, მენტალური პროცესების განწყობას ბრძოლისათვისა და გარდაუვალი გამარჯვებისათვის.

არსებობს მრავალი სისტემა, რომელიც გვასწავლის თუ როგორ წარმართოთ შემეცნების გამოყენებით სხეულზე და ფიზიოლოგიურ პროცესებზე სწორი ზემოქმედება. ორიგინალურმა მეთოდებმა არაერთხელ გვიჩვენეს ნამდვილი

სასწაული, ოფიციალური მედიცინის მიერ აღიარებული უიმედო მდგომარეობაში ყოფნის დროსაც კი. როგორც ნესი, დაავადებაზე გამარჯვებას ადამიანები აღწევენ მთელი სულიერი ძალების კოლოსალური დაძაბვის და მობილიზაციის საშუალებით, თავის ბედზე აუცილებელი და განუხრელი გამარჯვების მიღწევის სურვილით. ჩვენს წერილებში მკითხველი მოძებნის ინფორმაციას, რომელიც მოეხმარება ზუსტად ასეთი მეთოდებით მუშაობის ათვისებაში. თქვენი აქტიური მონაწილეობითა და პოზიტიური განწყობით შესძლებთ ძირფესვიანად შეცვალოთ დაავადების მიმდინარეობა და აამაღლოთ თქვენი შემდგომი ცხოვრების ხარისხი.

საწყის ეტაპზე ყოველგვარი ვარჯიში მხოლოდ აზრობრივი (მენტალური) იქნება: თქვენი ერთგული დამხმარე იქნება ვიზუალიზაცია, მედიტაცია, აუტოტრენინგი, აფირმაციის მეთოდი. მოქმედებენ რა ერთად, მათ შეუძლიათ ისე განაწყონ ქვეცნობიერება, რომ გადასცენ სხეულს ბრძანება: "ივარჯიშე და ჯანმრთელი იქნები", როდესაც ათვისებთ მენტალურ პრაქტიკას, იგრძნობთ შინაგან მზადყოფნას, გაძლიერდება თქვენი ნებისყოფა და თქვენში გამოიღვიძებს წინსვლის სურვილი.

ამრიგად, მიმდინარე წლის მეორე ნომრიდან ჩვენ ვინყებთ ივანე კუზნეცოვის წერილების სერიის გამოქვეყნებას, რომელიც ასახავს ვალენტინ დიკულის ცხოვრებას, მის განვლილ გზას რეაბილიტაციის პროცესში და ამ პროცესში გამოყენებულ მეთოდებს, რომელიც თვითექსპერიმენტის სახით შექმნა და დაამუშავა. ვფიქრობთ, ეს საინტერესო იქნება "იმედი+"-ს მკითხველებისათვის, რომელსაც გამოიყენებენ რეაბილიტაციის პროცესში.

ბაბრძალვა შებნა ნომრში




ინვალიდობა, ლიბერალური ღირებულებანი და 21-ე საუკუნის გამოწვევები

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნოდარ მამაცაშვილი

მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის უკანასკნელი მონაცემებით, მსოფლიოში 600 მილიონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანია. აქედან 80% ე. წ. გარდამავალ ქვეყნებში ცხოვრობს. მათი უმრავლესობა მოკლებულია ძირითად სერვისებს, განათლების, დასაქმებისა და რეაბილიტაციის საშუალებებს. ეს გარემოებანი, რასაკვირველია, დაბრკოლებებს უქმნის მათს ინ-

ტეგრაციას საზოგადოებაში. სხვადასხვა სახის ინვალიდობის მქონე ადამიანთა ძირითადი საზრუნავია საკვებისა და თავშესაფრის შოვნა, რომ არაფერი ვთქვათ სხვადასხვა სერვისებზე.

ნებისმიერი სახელმწიფოს მოვალეობაა, შექმნას თანაბარი შესაძლებლობის განვითარების პირობები, ანუ უზრუნველყოს მათი ძირითადი უფლებები, რაც ნიშნავს: განათლების, დასაქმებისა და რეაბილ-



იტაცის ხელმისაწვდომობას თანაბარი შესაძლებლობის განვითარების, სტანდარტული წესების დაცვას, რომელიც გთვალისწინებულია გაეროს 1993 წ. დეკლარაციით: სპეციალური ხმოვანი შუქნიშნების დაყენება, ინვალიდთა ლიფტების დამონტაჟება, პანდუსები,

ლიფტიანი ავტობუსები, ტელევიზიის გადაცემების ყრუ-მუნჯთათვის გასაგები ჟესტების ენით მომზადება, ბრაილის შრიფტით გამოცემები და სხვა.

საქართველო დიდი ხანია შეუერთდა ამ დეკლარაციას, უფრო მეტიც, მისი შესრულება ევროკავშირში მიღების ერთ-ერთი წინაპირობაა.

ხშირად ავინყდებით, რომ ინვალიდთა უფლებები ადამიანის ძირითადი უფლებების განუყოფელი ნაწილია.

გარდა სახელმწიფო ორგანოებისა ინვალიდთა პრობლემებზე მუშაობს სამოქალაქო სექტორიც, ანუ არასამთავრობო ორგანიზაციებიც, როგორც დემოკრატიის ატრიბუტი. უნდა პირდაპირ ითქვას, მათი უმრავლესობა ემბრიონის მდგომარეობაშია.

ძირითადი პრობლემა ინვალიდთა საზოგადოებაში ინტეგრაციაა, ე.ი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გათავისუფლება სტიგმისაგან (დამლი საგან) მათი, როგორც მარგინალების (გარიყულების) გადარჩენა და სრულყოფილ მოქალაქეებად ჩამოყალიბება. ეს პროცესი საზოგადოებაში ტოლერანტობის ჩამოყალიბებასაც გულისხმობს ალბათ საჭიროა განიმარტოს, რომ "ტოლერანტობა" ნიშნავს ადამიანის მიღებას, მის მიჩნევას შენ თანაბრად და არა შეზღუდულებასა და გულის აჩუყებას.

დღეს ჩვენში ბევრს აქვს ნოსტალგია მოჩვენებითი კეთილდღეობაზე, რასაც საბჭოთა რეალობა გვთავაზობდა: იქმნებოდა სპეციალური ხელოვნური სამუშაო პირობები ინვალიდთა დასაქმებისათვის, არსდებოდა სპეციალური დასახლებანი თავიანთი ინფრასტრუქტურით. ერთი შეხედვით პრობლემა კი გადაიჭრა, მაგრამ თანამედროვე დემოკრატიულ ფასეულობათა კონცეფცია ამ საკითხს სულ სხვა წრილში განიხილავს.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით, წარმოვაჩინოთ ეს კონცეფცია თანამედროვე გამოწვევათა ფონზე. ბევრი მათგანი შეიძლება საკამათო იყოს, ბევრიც — მიუღებელი, მაგრამ, როგორც იტყვიან, შევხედოთ რეალობას თვალეში, შევეცადოთ, კრიტიკულად გადავხედოთ ჩვენს ადრინდელ შეხედულებებს.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პრინციპები გამორიცხავს რაიმე განსაკუთრებულ პირობებს ან მონოპოლიას, რაც დამახასიათებელი იყო სოციალისტური სისტემისათვის. ასეთ შემთხვევაში რა გამოსავალი შეიძლება არსებობდეს? როგორია სტრატეგია, ან არსებობს კი?

ექსპერტთა აზრით, საჭიროა ინვალიდთა ჩაყენება თანაბარ პირობებში, რაც მისცემს მათ თავიანთი

შესაძლებლობების გამოყენების საშუალებას, უფრო გასაგებად, ისეთი სამუშაო პირობების შექმნას, რაც ინვალიდის შრომას შესაძლებელს გახდის. რათა მას ჰქონდეს არა მარტო დამოუკიდებლად არსებობის საშუალება, არამედ საკუთარი ღირსების გრძნობაც.

რაც შეეხება სპეციალურ რეზერვაციებს, ისინი განიხილება, როგორც დაბრკოლება ინტეგრაციის გზაზე.

ინკლუზია, ანუ ჩართულობა, ინტეგრაციის ერთ-ერთი ფორმაა.

ინვალიდთა თავმოყრა ცალკე სასწავლებელში, ხელს არ უწყობს არც მათ ინტეგრაციას და არც საზოგადოებაში ტოლერანტობის ჩამოყალიბებას. სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, რომ ჩვენში ყველა არ იზიარებს ამ მოსაზრებას. მაგალითად თვლიან, რომ უსინათლოთა სწავლება მასიურ სკოლებში გამართლებული არ არის. ამ მოსაზრების მიმდევრებს თავიანთი არგუმენტები აქვთ. მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში ამ საკითხს არ შევეხებით, რადგან ეს სულ სხვა საუბრის თემაა.

ლიბერალურ ფასეულობათა კონცეფციით, ინვალიდობა არის არა ფიზიკური, არამედ სოციალური მოვლენა, ანუ პრობლემა არა ინვალიდში, არამედ საზოგადოებაში, რომელიც ძველი სტერეოტიპების ტყვეობაშია და მზად არ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანის მისაღებად.

საქართველოს უსინათლოთა კავშირი, ცხადია, კუნძული არ არის და ვერ იქნება ამ მოვლენათა მიღმა. ადრე თუ გვიან ჩვენც მოგვინევს ამ პრობლემებთან შეხება. უსინათლო მუშახელი უკვე ანაქრონიზმია. მისი სამოქმედო ასპარეზი ინტელექტური სფეროა, თუმცა გასაგებ მიზეზთა გამო ყველა ამ სფეროში ვერ დასაქმდება. საჭიროა, შეირჩეს და დაინერგოს ისეთი პროფესიები, რომლებითაც უსინათლო შეიძლება, კონკურენცია გაუწიოს ჯანმრთელს. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ის უნარები, რომელიც უსინათლოს სპეციფიკური მდგომარეობის გამო უფრო მეტად აქვს განვითარებული (მაგალითად შეხება, სმენის მობილიზაცია) მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული. ამ ტენდენციას ჯერ კიდევ XX ს. ოცეან წლებში ძმებმა სიმენსებმა ჩაუყარეს საფუძველი, როცა სატელეფონო სისტემაში უსინათლოთა დასაქმება დაიწყეს. ეს ხდებოდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ბევრი ადამიანი დარჩა მხედველობის გარეშე. ამ საქმის ინციტორები თვლიდნენ, რომ უსინათლო ბევრად უკეთ ართმევდა თავს საქმეს, ვიდრე მხედველი. სამწუხაროდ ამ კარგად დაწყებულ საქმეს გაგრძელება არ მოჰყვა.

არსებობს სხვა გზაც: ეს არის საკანონმდებლო ბრძოლა ისეთი აქტების მისაღებად, რომლებიც უზრუნველყოფს ინვალიდთა დასაქმებას ჩვეულებრივ სამუშაო ადგილზე, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია მიღებული. ანუ საწარმოებს, რომლებიც ინვალიდთა გარკვეულ პროცენტს დაასაქმებენ, გარკვეული წახალისება ეძლევათ.

სხვათა შორის, არსებობს შეზღუდული შესაძლებ-

ბლოგების მქონე პირთა 2007 წ. კონვენცია, რომელიც დღემდე არ არის საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული, რადგან მისი გაზიარება ჩვენს ხელისუფლებას ბევრ თავსატეხს გაუჩენს. ქვეყანაში, სადაც პრობლემაა ჯანმრთელი ადამიანის დასაქმება, უსინათლოს დასაქმება შორეული პერსპექტივაა.

მესამე გზა უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობის-პროექტებითა და გრანტების მოზიდვით პრობლემების გადაწყვეტის გზაა, რომელიც ნაცადი და აპრობირებულია. ეს ნიშნავს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის დაინტერესებას ჩვენი პრობლემებით და მათი დახმარებით ამ პრობლემების გადაჭრას. ასე რომ, მომავალში ჩვენი საქმიანობა კომპლექსურად

უნდა წარიმართოს. სწორხაზოვნება დამლუპველია.

მოსაზრებანი, რომლებიც ახლა შემოგთავაზებთ, უმრავლესობისათვის მიუღებელია, რადგან ბევრია მათში საკამათო. მინდა გითხრათ, რომ ეს შეხედულებანი არ წარმოადგენს ამ სტრიქონების ავტორის კერძო მოსაზრებებს, ამიტომაც მკითხველს ვთხოვ, ნუ მიიღებს მათ დოგმებად. ჩვენი უფლებების დასაცავად თავად უნდა ვიბრძოლოთ, რადგან ჩვენზე უკეთ არავინ იცის მათ შესახებ.

ახალი საუკუნე ახალ გამოწვევებს გვთავაზობს. როგორ უპასუხებთ მათ, ანუ რამდენად აღმოვჩნდებით მზად, გადავწყვიტოთ ეს პრობლემები, ჩვენზე დამოკიდებული.

ადპტიური ფიზიკური აღზრდა მოჯახის პირობებში

გაბრძნობა ღასაწყისი №4, №5, №6, №7, №10

თეიმურაზ მიქიაშვილი

წინა ნომერში დავინწყეთ ფიზიკურ ვარჯიშების განხილვა ვარჯიშთა სახეობების და მათი ხასიათის ნიშანთვისებების მიხედვით. ვაგრძელებთ მის განხილვას.

სიარული, სირბილი, წახტომები, სტომები

სიარული წარმოადგენს ადამიანის სხეულის სვირცეში გადაადგილების ერთ-ერთ ძირითად, ბუნებრივ საშუალებას. ადამიანის უნარ-ჩვევების ათვისებაზე დამოკიდებული მისი ცხოვრების შემდგომი განვითარების პროცესები. ამიტომ, სიარულის სწავლებას, როგორც ადამიანის ყოფიერების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას, უდიდესი (ზოგიერთ შემთხვევაში გადამწყვეტი) მნიშვნელობა გააჩნია.

ადპტიური ფიზიკური აღზრდის პროცესში, ძირითადი აქცენტი კეთდება ჩვეულებრივი (საყოფაცხოვრებო) სიარულის უნარის გამომუშავება-ათვისებაზე. მისი სწავლების პროცესში შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა დამხმარე საშუალებები — ყავარჯნები, ხელჯოხები, სპეციალური საბჯენები, სპაციალური სასიარულო მონყობილობები და ა.შ. სიარულის ტექნიკის მთლიანად ათვისების შემდეგ, ვიყენებთ ისეთ ვარჯიშებს, რომლებიც ანვითარებენ წონასწორობას და კოორდინაციას.

ადპტიური ფიზიკური აღზრდის პროცესში სიარული გამოიყენება, როგორც ზოგად განმავითარებელი, სამწყობრო, ასევე მოძრაობის ან სუნთქვის რიტმის დამარეგულირებელი ვარჯიში. გამართული ტანით შესრულებული ჩვეულებრივი სიარული, ხელს უწყობს კარგი ტანდევობის გამომუშავებას და შენარჩუნებას.

სიარულის სწავლება შეიძლება გავართულოთ

ხელების, ფეხების და ზეტანის მოძრაობებით. მაგალითად, ვინყებთ სიარულს, თვლაზე 1 — ნინმკლავი, თვლაზე 2 — ზემკლავი, თვლაზე 3 — განმკლავი, თვლაზე 4 — მიმკლავი და ა.შ. სიარულის გართულება შეიძლება თვით სიარულის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით. მაგალითად: უბრალო სიარულის გარდა ვიყენებთ ფეხის მიდგმით ნაბიჯებს. თვლაზე 1 — მარჯვენა ფეხს ვადგამთ წინ, თვლაზე 2 — გადადგმულ ფეხს მივადგამთ მარცხენა ფეხს, თვლაზე 3 — ისევ მარჯვენა ფეხს ვადგამთ წინ, თვლაზე 4 — გადადგმულ ფეხს ვადგამთ მარცხენას და ა.შ. ნათელია, რომ ფეხი, რომელიც წინ იდგმება, პერიოდულად უნდა შევცვალოთ.

გართულების მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ ფეხის ცალკეული მოძრაობები. მაგალითად, თვლაზე 1 — მოვხაროთ ფეხი მუხლის სახსარში, თვლაზე 2 — ნინფეხი, თვლაზე 3 — ფეხი დავუშვათ იატაკზე და ა.შ. სიარულის დროს შეიძლება დავამატოთ ზეტანის სხვადასხვა მოძრაობები. მაგალითად, თვლაზე 1 — მარჯვენა წინფეხი, ზეტანის ტრიალი მარცხნივ, თვლაზე 2 — მარცხენა წინფეხი, ზეტანის ტრიალი მარჯვნივ და ა.შ. აგრეთვე შეიძლება გამოვიყენოთ ჯვარედინი ნაბიჯები, ნახევრად ჩამჯდარ მდგომარეობაში მალა ანეული მუხლით სიარული ფეხის ცერებზე და ქუსლებზე სიარული და ა.შ.

შეიძლება გამოვიყენოთ ზეტანის კომბინირებული მოძრაობები. მაგალითად, წინწნე-ქის დროს ზეტანის მარჯვნივ ტრიალი, ან მასთან ერთად ჩაირთოს სხეულის ცალკეული

ნაწილების შეთანხმებული მოძრაობები: სანჯისი მდგომარეობა—ძირითადი დგომი, დოინჯი, ვინჯებთ სიარულს, თვლაზე 1-2 ზეტანის წინზნეკი, ზეტანის ტრიალი მარჯვნივ, განმკლავი, ავინოთ ცერებზე. თვლაზე 3-4 დავბრუნდეთ სანჯის მდგომარეობაში უკუსვლით. შემდეგ ვასრულებთ იგივე ვარჯიშს მეორე მხარეს. უფრო რთულია დახუჭული თვლებით სიარული (სიარული მხედველობის გამოთიშვით). ის უფრო გართულებდა თუ მივუმატებთ გარკვეულ დავალებებს. მაგალითად, თვლაზე 1-2-3 სამი ნაბიჯი წინ, თვლაზე 4—მივადგათ ფეხი. თვლაზე 5-6 მარჯვნივ ბრუნი, შემდეგ ისევ სამი ნაბიჯი წინ, მივადგათ ფეხი და ისევ მარჯვნივ ბრუნი. ასეთი ვარჯიშები შეიძლება ჩატარდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ სიარულის დროს შეიძლება აგრეთვე გამოვიყენოთ დიდი რაოდენობით ვარჯიშები წონასწორობაზე. მაგალითად, ვარჯიშები საგნების გამოყენებით, სიარული სხეულის მოძრაობის გარდამავალი მდგომარეობით (სახით წინ, გვერდზე, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ შენაცვლებით, ზეტანის წინზნეკით და ა.შ.).

აღსანიშნავია ისიც, რომ სიარულის ეფექტური სწავლებისათვის უნდა აღმოიფხვრას ისეთი ზედმეტი მოძრაობები, როგორცაა ზეტანის გვერდზე ქანაობა და ყურადღება მიექცეს საყრდენი ფეხის მოძრაობის დროს ბიძგის სწორად შესრულებას.

სწორ ადგილებში ჩვეულებრივი სიარული შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც გულსისხლძარღვთა და სუნთქვის სისტემების წვრთნის ფაქტორი. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გადაადგილების მანძილის და ხანგრძლივობის დოზირებას. ყურადღება მიექცეს სიარულის ტემპის და დასვენების რიტმულ შეთავსებას. შეიძლება გამოვიყენოთ კიბეებზე და ამაღლებულ ადგილებზე დოზირებული სიარული. ასეთი სიარულის პროცესში მოვარჯიშეს მოუწევს საკუთარი წონის ატანა გარკვეულ სიმაღლეზე და ყოველი საფეხურის დაძლევის შემდეგ ორგანიზმი მიიღებს განსაზღვრულ დატვირთვას.

სირბილი, სიარულისაგან ძირითადად განსხვავდება ფრენის ფაზით. სირბილში ფრენის ფაზა ეწოდება იმ მდგომარეობას, როდესაც მორბენლის სხეულს არ გააჩნია საყრდენი წერტილი. სიარულის დროს კი უწყვეტია ყრდნობის ფაზა ხან ერთ, ხან მეორე ფეხზე. სირბილი შეიძლება როგორც თითებზე, ასევე მთლიანი ტერფით. უკეთესია სირბილის სწავლება განვახორციელოთ მთლიანი ტერფით, ვინაიდან სირბილის ძირითად საფუძველს წარმოადგენს სიჩქარის განვითარება, ტერფის გამოყენება აუმჯობესებს ქვედა კიდურების შესაძლებელი მოძრაობის მთლიან ამპლიტუდას და შესაძლებელს ხდის სირბილის პოტენციალის მაქსიმალურ

გამოვლენას.

სირბილის დროს ზედა კიდურები უნდა იყოს მოხრილი და ყველა სახსრებში, ხოლო ხელის მტევნები დაუძაბავად მუშტად შეკრული. რბენისას ხელები მოძრაობენ რიტმულად წინ და უკან.

სირბილი ადამიანის ორგანიზმზე დიდი ფიზიკური დატვირთვით ზემოქმედებს. იგი შედარებით ძლიერი ვარჯიშთაგანია, რომელიც ამაღლებს როგორც ცალკეული ორგანოების და სისტემების, ასევე მთელი ორგანიზმის ფუნქციურ მდგომარეობას. ამიტომ, სირბილის სწავლების დროს დატვირთვის დოზირება უნდა ნარმოებდეს მცირე დატვირთვიდან შემდგომი თანდათანობით ზრდით.

შედარებით ადვილია რიტმული სირბილი, რომელიც სრულდება თავიდან შერჩეული ტემპის შეუცვლელად. ამ დროს, სირბილის და სუნთქვის რიტმული შერწყმა მიმდინარეობს შედა რებით მსუბუქ პირობებში (მოძრაობის უცვლელი ტემპის პროცესში). სირბილიდან სიარულში გადასვლა არ უნდა ხდებოდეს უეცრად, ამიტომ სირბილის დამთავრების დროს მოსწავლეები გადაგვყავს აჩქარებულ სიარულზე, შემდეგ კი თანდათანობით ნაბიჯის შენელებაზე და მიგვყავს სასურველ ტემპამდე. აჩქარებული სიარული შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე, როგორც სირბილის გამოსამუშავებელი ვარჯიშები.

ნახტომები ისეთი ვარჯიშებია, სადაც სხეულის სივრცეში გადაადგილება (ფრენის ფაზა) წარმოებს საყრდენზე სწრაფი დაშვების შენაცვლებით. თვით სახელწოდება „ნახტომი“ გვიჩვენებს, რომ აქ ფრენის ამპლიტუდა მცირეა, თუმცა ფიზიკური დატვირთვა საკმაოდ მნიშვნელოვანი. ნახტომები სრულდება ფეხის თითებზე ზამბარისებური მოძრაობების საშუალებით. ქვედა კიდურებს ოდნავ ვხრით, რათა ნახტომები შესრულდეს მსუბუქად და არ გამოვიწვიოთ არასასურველი შერყევები (განსაკუთრებით თავის არეში). ნახტომები სრულდება სხვადასხვა მიმართულებითა ადგილზე და გადაადგილების სხვადასხვა მიმართულებით (წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ);

ა) ბრუნვებით — 45 გრადუსს, 90 გრადუსს, 180 გრადუსს.

ბ) ორი ფეხით, ერთი ფეხით და ა.შ.

გ) ზედა და ქვედა კიდურების სხვადასხვა სანჯისი მდგომარეობით. მაგალითად: ნახტომები ძირითადი დგომი, დოინჯი, წინმკლავი, განმკლავი, ზემკლავი, ერთი ფეხით, ორი ფეხით და ა.შ.

დ) ხელების და ფეხების მოძრაობებით. მაგალითად, თვლაზე 1—ნახტომი ფეხშლით, თვლაზე 2—ნახტომი წინმკლავი, თვლაზე 3—ნახტომი მიმკლავი და ა.შ. ნახტომების შესრულება შეიძლება აგრეთვე სახტუნაო თოკზე სხვადასხვა ვარიანტებით.

ხტომები ისე, როგორც ნახტომები წარმოადგენს დიდი ფიზიკური



დატვირთვის მქონე ვარჯიშებს. ხტომები, ნახტომებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ მათი საშუალებით შესაძლებელია განსაზღვრული სივრცის გადალახვა.

არსებობს ხტომების შემდეგი სახეები:

1. სიგრძეზე;
2. სიმაღლეზე;
3. სიღრმეზე.

ადაპტიური ფიზიკური აღზრდის პროცესში ძირითადად გამოიყენება სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომები. მაგრამ, ვინაიდან მათ გააჩნიათ დიდი ფიზიკური დატვირთვის შესაძლებლობები, შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ღრმად იქნება შესწავლილი მოვარჯიშეთა ფიზიკური შესაძლებლობები და შეძლებენ ხტომების შედეგად მიღებული ფიზიკური დატვირთვის დაძლევის და დახარჯული ენერჯის დროულად აღდგენის.

ვარჯიშები საგნებით

ადაპტიური ფიზიკური აღზრდის პროცესში ხშირად გამოიყენება შემდეგი საგნებით ვარჯიშები: ტანვარჯიში ული ჯოხით, სხვადასხვა წონის ჰანტელებით (ორბირთვებით), ტენილი ბურთებით, გასაბერი ბურთებით, მცირე ბურთებით, ტანვარჯიში ული რგოლებით და ა.შ. აღნიშნული საგნებით ვარჯიშები ანვითარებენ ისეთ უნარ-ჩვევებს, როგორცაა ძალა, გამძლეობა, მოქნილობა, სიმარდე, სისწრაფე. მათ სხვადასხვა ზემოქმედების ფიზიკური დატვირთვა გააჩნიათ. ამიტომ, საგნებით ვარჯიშების შერჩევა და დოზირება ხდება ინვალიდობის ნოზოლოგიის, მათი ფიზიკური განვითარების დონის, ფუნქციური მდგომარეობის და ექიმის რეკომენდაციის საფუძველზე.

ვარჯიშები წინააღმდეგობებით

ვარჯიშები წინააღმდეგობებით — ეწოდება ისეთ ვარჯიშებს, სადაც ვარჯიშების ჩატარების პროცესში ჩართულ კუნთებზე წარმოებს უკუქმედება. აღნიშნული უკუქმედება კუნთთა გარკვეულ ჯგუფებზე ან ცალკეულ კუნთებზე შეიძლება გასწიოს თვით მოვარჯიშემ, მასწავლებელმა (მეთოდისტმა) ან იმ პარტნიორმა, რომელიც მონაწილეობს ვარჯიშის პროცესში. თვით მოვარჯიშის მიერ განეული უკუქმედების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ იდაყვის სახსარში მოხრის ვარჯიში.— მოსწავლე ერთი ხელის მტევნით აწვება სუპინაციის მდგომარეობაში მყოფ წინამხრის ქვედა ნაწილს და წინააღმდეგობას უწევს მოხრას იდაყვის სახსარში. გაშლის დროს კი პირიქით, ერთი ხელის მტევნით იჭერს მეორე ხელს მაჯის სახსარში ქვედა მხრიდან და უწევს წინააღმდეგობას. ასეთივე უკუქმედებას გასწევს მასწავლებელი ან სხვა დამხმარე. ვითვალისწინებთ რა მოსწავლის სუბიექტური შეგრ-

ძნების ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს წინააღმდეგობის მოცულობას, სასურველია წინააღმდეგობა გასწიოს თვით ადაპტანტმა. კარგი იქნება წინააღმდეგობა გაუწიოს პარტნიორმა, რომლის შესრულების დროსაც ვარჯიში ჩატარდება როგორც წყვილებს შორის ვარჯიში.

წინააღმდეგობითი ვარჯიშების გამოყენება აგრეთვე რეკომენდებულია ზედა და ქვედა კიდურების და ტანის კუნთების განვითარების და გამაგრებისათვის. გარდა ამისა, შეიძლება გამოიყენებული იქნას ისეთი ვარჯიშები, რომლებიც შეიცავენ თამაშების და შეჯიბრების ელემენტებს, ე.ი. გამოიყენება ისეთი ვარჯიშები, რომლებსაც გააჩნიათ გამოხატული ემოციური ელფერი. შეიძლება აღნიშნული ვარჯიშების ჯგუფურად ჩატარება (მაგ. თოკის გადანევა და ა.შ.)

როგორც ვხედავთ, ვარჯიშები წინააღმდეგობებით ატარებენ ძალისმიერ ხასიათს და გააჩნიათ გამოხატული დატვირთვა. ამიტომ, მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ ექიმის რეკომენდაციის გათვალისწინების შემდეგ.

კიდები

კიდები ეწოდება ისეთ ვარჯიშებს, რომლებიც სრულდება ჩამოკიდებით რაიმე საგანზე. შეიძლება იყოს, როგორც სუფთა, ასევე შერეული კიდი.

სუფთა კიდის დროს ჩამოკიდება ხორციელდება ზედა ან ქვედა კიდურებით. ხოლო შერეული კიდის დროს ზედა და ქვედა კიდურების ერთდროული გამოყენებით.

კიდში ვარჯიშები სრულდება ტანვარჯიშულ კედელზე, ღერძზე, რგოლებზე, ორძელზე და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ ვარჯიშების შესრულება მოძრავ საგნებზე უფრო ძნელია, ვიდრე უმოძრაო, სპორტულ იარაღებზე. მოძრავ იარაღებზე სიძნელების გამომწვევი მიზეზია სხეულის რხევა სხვადასხვა ამპლიტუდით.

ჯგუფური ვარჯიშის დროს შერეული ვარჯიშები შეიძლება შესრულდეს თანამოვარჯიშეთა დახმარებით პარტნიორზე ჩამოკიდების გამოყენებით.


მაგრამ, კიდების ეს სახე წარმოადგენს შედარებით ძნელ ვარჯიშს, რადგანაც, მათი შესრულება მოითხოვს დიდ ფიზიკურ დატვირთვას.

ადაპტიური ფიზიკური აღზრდის პროცესში ყველაზე უფრო მისაღებია შერეული კიდის გამოყენება, ვინაიდან ჩამოკიდება ხორციელდება ზედა და ქვედა კიდურების გამოყენებით და ფიზიკური დატვირთვაც მსუბუქად და დოზირებულად წარმოებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სუფთა კიდები წარმოადგენს ისეთ ვარჯიშებს, რომლებიც საჭიროებენ დიდ ფიზიკურ დატვირთვას და ამის გამო ადაპტიური ფიზიკური აღზრდის პროცესში იშვიათად გამოიყენება.



ჩვენი იუბილარი



ღვთისშვილთა კავშირი 20 წლისაა

დაარსებიდან 20 წელი შეუსრულდა საქართველოს ღვთის შვილთა კავშირს.

ეს არის საქართველოში ღვთის ქვეშარიტი რწმენის, ჰუმანისტური მსოფლმხედველობის და ტრადიციების აღორძინება—დამკვიდრების მოძრაობა არა მარტო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა შორის.

ჟურნალ "იმედი"-ს რედაქცია გულწრფელად ვულოცავთ ღვთისშვილთა კავშირს და მის უცვლელ ხელმძღვანელს, ბატონ ზაზა სიხარულიძეს იუბილეს და ვუსურვებთ წარმატებებს.

ზეიმი ლაგოდეხი

უტა ჩიქოვანი

სამი დეკემბერი გამორჩეული გამოცოცხლებით გათენდა ლაგოდეხის რაიონში. მთელი ისტორიის მანძილზე პირველად აღინიშნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა საერთაშორისო დღე, რისთვისაც რაიონულმა ორგანიზაციამ მზადება ადრეულად დაიწყო. საკრებულოების მიხედვით ერთხელ კიდევ გადამონმდა და დაზუსტდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა რაოდენობა. მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობასთან ერთად შემუშავდა ჩასატარებელი ღონისძიებათა პროგრამა. გამგეობამ შეზღუდული შესაძლებლობების 18 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის საჩუქრების შესაძენად გამოყო 1500 ლარი. ასევე, საფინანსო პოლიციამ (ბატონი დავით ბაკაშვილი) ინვალიდთა რაიონულ ორგანიზაციას გადასცა 300 ლარი. ღონისძიების დაწყებამდერაიონის 150 მოზარდს გადაეცა ფასიანი საჩუქრები. შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. მაყურებელთა წინაშე მუსიკალურ—მხატვრული ნომრებით წარდგინდა რაიონის ხელოვნების სტუდიის წევრები (ხელმძღვანელი ბ-ნი კობა გელაშვილი) და ბავშვთა რაიონული ანსამბლი (ხელმძღვანელი ბ-ნი ბერდო ყორღანაშვილი). მათ მიერ შესრულებულმა

მხატვრულმა ნომრებმა მაყურებელთა ოვაციები დაიმსახურეს. განსაკუთრებით დიდი მოწონება ხვდა წილად გიორგი ჯანაშვილის შემოქმედებას. ეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა დაჯილდოებულია შესანიშნავი მუსიკალური და ვოკალური მონაცემებით, რასაც გულმხურვალედ ეგებებოდა მსმენელი. ჩვენი ჟურნალის საშუალებით ადრე აღინიშნა და ახლაც გვინდა გავიმეოროთ იმ გულისხმიერების შესახებ, რასაც ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, ბატონები გიორგი გოზალიშვილი და გიორგი წვერავა იჩენენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და მათი ოჯახების მიმართ. ასევე, თავიანთი საქველმოქმედო საქმიანობით მადლობას იმსახურებენ ბატონები კობა გელაშვილი, ზურაბ ჩიტიშვილი, ჯუმბერ გოლეტიანი, დავით ბაკაშვილი და სხვები. ასევე აღსანიშნავია ის თავდადება და დაკისრებული მოვალეობის შესრულებისადმი საგნობრივი მიდგომა, რასაც ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ბატონი ნოდარ გელაშვილი იჩენს.



სიახლე პაროლიმპიურ პროგრამაში

ლონდონის (2012 წლის) პაროლიმპიურ თამაშებში კვლავ მიიღებენ მონაწილეობას ფსიქიკური დარღვევების მქონე სპორტსმენები. ეს გადაწყვეტილება მიიღო კუალა ლუმპაში (მალაიზია) 2009 წ.



21-22 ნოემბერს ჩატარებულმა საერთაშორისო პაროლიმპიური კომიტეტის გენერალურმა ასამბლეამ უნდა აღინიშნოს, რომ 2000 წელს ჩატარებულ პაროლიმპიურ თამაშებში კალათბურთის შეჯიბრებაში მონაწილე ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში მხოლოდ ორი სპორტსმენი თამაშობდა, რომლებსაც გააჩნდათ ფსიქიკური დარღვევები და ამის გამო, ამ კატეგორიის სპორტსმენებს აეკრძალათ პაროლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა. როგორც ჩანს, სამართლიანობის გრძნობამ თავისი გაიტანა და კალათბურთი ფსიქიკური დარღვევების სპორტსმენებისათვის კვლავ შევიდა პაროლიმპიურ პროგრამაში.

12 დეკემბერს მოსკოვში, წითელ მოედანზე ჩატარდა პაროლიმპიური დღე ზამთრის პაროლიმპიური სპორტის სახეობებში. ამ დღის აღსანიშნავად მოსკოვს ეწვია საერთაშორისო პაროლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, სერ ფილიპ კრავენი.

საქართველოს პირველობა ნოლჭიმში

მიმდინარე წლის 18 დეკემბერს ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის სპორტკაფეში გაიმართა საქართველოს პირველობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შორის ძალოსნური სპორტის სახეობის ნოლჭიმში. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ შეჯიბრების ერთ-ერთ ორგანიზატორს, საქართველოს პაროლიმპიური კომიტეტის პირველ ვიცე პრეზიდენტს, ბ-ნ გიორგი ნაქიძეს.

ბატონო გიორგი, რასთან დაკავშირებით გაიმართა დღევანდელი სპორტული შეჯიბრება და თუ იგეგმება მომავალში მსგავსი შეჯიბრებების ჩატარება.

2009 წელს აქცენტი გვექონდა გამახვილებული შიდაშეჯიბრებების ჩატარებაზე. გაიმართა მრავალი ჩემპიონატი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც დღეს ტარდება, პაროლიმპიური სპორტის სახეობაა. მომავალ წელს კი იგეგმება, როგორც საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა, ასევე შიდა ჩემპიონატების ჩატარება პაროლიმპიურ სპორტის სახეობებში. 2010 წელს, 23 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით, მალაიზიაში ტარდება მსოფლიოს პირველობა ნოლჭიმში, სადაც საქართველოს სახელით მონაწილეობას მიიღებს დღევანდელ შეჯიბრებაში 1 და 11 ადგილზე გასული სპორტსმენები.


რამდენმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა და ვინ იყო დღევანდელი ღონისძიების მხარდამჭერი.

შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა ოცამდე სპორტსმენი, რომელთაგანაც 12 სპორტსმენი იმერეთის რეგიონიდან, კერძოდ ქუთაისიდან ჩამოვიდა. ღონისძიების მხარდამჭერები არიან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და რესტორანი "ჯარგვალი". რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვასხენებ მათ.

როგორ განაწილდა საპრიზო ადგილები შედეგები და ვინ გაიმარჯვა? სვიჩის კოეფიციენტის (ადამიანის წონა X აწეულ წონაზე) მიხედვით და გამოვავლინეთ გამარჯვებულები: 1 ადგილი დაიკავა შოთა ომარაშვილმა (125კგ), 11 ადგილზე გავიდა იაგო გორგოშეს (170კგ), ხოლო 111 ადგილი დაისაკუთრა ქუთაისელმა ვახტანგ ახოზაძემ (70კგ).

თემურ ჭეიშვილი — საქართველოს ინვალიდთა სპორტული ფედერაცია "ალორძინება 2002"-ს თავმჯდომარე

-ქუთაისიდან 12 სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას და ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენმა სპორტსმენმა ვახტანგ ახოზაძემ 111 საპრიზო ადგილი დაიკავა. მომავალ წელს ქ. ქუთაისის მერიის სპორტის სამსახურის მხარდაჭერით ქუთაისში იგეგმება სპორტული ღონისძიებების ჩატარება სპორტის შემდეგ სახეობებში: ნოლჭიმში, მაგიდის ჩოგბურთში, მკლავჭიდაში და ასევე საუბარია პაროლიმპიური სპორტის სახეობების საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის შესახებ, რომელთა ჩატარებაც დაგეგმილია სომხეთსა და თურქეთში.



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მხარდაჭერა



2009 წლის 29 ნოემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკალათბურთო დარბაზში გაიმართა სპეციალური ოლიმპიური პროგრამით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის სპორტული ღონისძიება კალათბურთში, რომელიც მიეძღვნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების საერთაშორისო დღეს. ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი, მიხეილ მიქიაშვილი გაესაუბრა ღონისძიების ორგანიზატორს, ლაშა გოციერელს.

რასთან დაკავშირებით ჩატარდა აღნიშნული სპორტული ღონისძიება და რას ისახავდა მიზნად?

საქართველოში, ისევე როგორც ევროპის ყველა ქვეყანაში 29 ნოემბერს ევროპის სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით ჩატარდა კალათბურთის კვირეული, სადაც მონაწილეობას იღებდნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდები. ღონისძიების მიზანი იყო, მათი ჯანმრთელობის განმტკიცების გარდა, დაგვეახლოვებინა ბავშვები საზოგადოებასთან სპორტული ღონისძიების მეშვეობით. ამათთან ერთად, ამ ღონისძიებას ვუძღვნით ინვალიდთა საერთაშორისო დღეს, რომელიც უკვე კარზეა მომდგარი.

რამდენი მონაწილე ჰყავდა ღონისძიებას?

შეჯიბრში მონაწილეობას იღებდა 3 გუნდი თბილისის 200 საჯარო სკოლიდან და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთის ნაკრე-



ბი. გუნდები დაკომპლექტდა შემდეგნაირად: თითო გუნდის შემადგენლობაში იყო 5 სპეციალური ათლეტი და 2 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაკრების მოთამაშე. სულ შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო 21-მა მოთამაშემ.

იგეგმება თუ არა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად სხვა სპორტული ღონისძიებები?

მოსალოდნელია საქართველოს სპეციალურმა ოლიმპიურმა კომიტეტმა კვლავ ჩაატაროს სპორტული ღონისძიება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტთან ერთად, რაზედაც ამჟამად მიდის მუშაობა. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა კონფერენცია, სადაც განხილული იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან სპორტული ღონისძიების ჩატარების და მათთან ახლო ურთიერთობაში გასათვალისწინებელი დეტალები, რომელიც კარგად აითვისეს სტუდენტებმა და აქტიურად ჩაერთვნენ სპეციალურ ოლიმპიურ მოძრაობაში. ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სპორტისა და კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელმა, ბორის გითოლენდიამ მხარდაჭერა აღუთქვა საქართველოს სპეციალურ ოლიმპიურ კომიტეტს და მზად არის გამოგვიყოს სპორტული დარბაზები ტურნირების ჩასატარებლად. მოსალოდნელია ჩატარდეს ფეხბურთის კვირეული უახლოეს მომავალში.



ვინ იყო ღონისძიების მხარდამჭერი?
ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი არჩილ ფრანგიშვილი, სტუდენტური მოძრაობა, ბატონი ბორის გითოლენდია და კომპანია RED BULL-ი. ჩატარებულმა ღონისძიებამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა მოსწავლეებზე. კარგი იქნება თუ სტუდენტები და საზოგადოების წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ სპეციალური ოლიმპიური პროგრამით ჩატარებულ, როგორც სპორტულ ასევე საქველმოქმედო ღონისძიებებში.

მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდით ამ მისამართზე specialolympicsge@yahoo.com და მოგვწერეთ თქვენი წინადადებები.

სპორტული გვერდი მოამზადა
მიხეილ მიქიაშვილმა



საქართველოს
ხალხთა რესპუბლიკის
ხალხთა რესპუბლიკის
ხალხთა რესპუბლიკის



ISBN 1987-7161